ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

მაგთიკომი პირველი კომპანიაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც მხოლოდ გადასახადების სახით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ერთ მილიარდ ლარზე მეტი შეიტანა.

მაგთიკომი MAGTICOM

1 000 000 000

ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 2011 №219 (5599) ფასი: 30 თეთრი

# თინა ხიდაშელი: „საკვებ პროდუქტებზე ფასები გაიზრდება“



გვ.2



## ვინ ჩაანაცვლებს არჩილ გეგენავას

## საქართველოში 45 ათასი პატიმარია

გვ.3



ბიუჯეტი პატიმრების ხარჯზე ივსება

## რა ცვლილებები შევა საარჩევნო კოდექსში

გვ.5



## ოპოზიციური „ექვსიანი“ იშლება?!

გვ.4





რატომ დაგეგმა „ეროვნულმა ფორუმმა“ ქართველთა მარში

## ვიკილიქსი: „2008 წელს სააკაშვილს გეგა მგალობლიშვილისთვის ტელეფონი არ უსვრია“

გვ.5

## რა პრეტენზიები აქვთ დევნილებს ცისკარიშვილთან

გვ.7





## მამუკა კაციტაძე: მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მინისტრი რომელ სამინისტროში გადავა

გვ.4



## „ლეიბორისტები“ ხელისუფლების წევრების დასვენების ხარჯებით დაინტერესდნენ

გვ.4



## კოტე ჟღენტი: „ვაშაძე ქართველი დიპლომატების მუშაობას უარყოფად ვერ შეაფასებდა“

გვ.6

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**6** სომხეთ-საქართველოს საზღვრის დადგენაზე მუშაობა გრძელდება

**2** ნიკა გილაური: სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტები სახელმწიფოს ხელში დარჩება

**3** დღეს რუსეთ-საქართველოს საზღვართან სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება

**6** რუსეთის გარდა, არც ერთ მეზობელთან პრობლემები არ გვაქვს

# თინა ხიდაშელი: „საკვებ პროდუქტებზე ფასები გაიზრდება“

## ვინ ჩაანაცვლებს არჩილ გეგენავას

თეა მარხვაი ე


თინა ხიდაშელი

მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატ არჩილ გეგენავას ნამდვილად ცუდი დრო დაუდგა. გავრცელებული ინფორმაციით, სახელისუფლებო კლანებს შორის არსებული დაპირისპირების გამო მისი ბიზნესი საფრთხის ქვეშ დადგა. აქამდე ის კვების პროდუქტების მონოპოლისტად ითვლებოდა. ის ამარაგებდა საკვები პროდუქტებით სახელისუფლებო სტრუქტურებს. მათ შორის თავდაცვის სამინისტროს და სასჯელაღსრულების სისტემას.

მისი სახელი ფიგურირებდა მაღაზიათა ქსელ „ნუგეშთანაც“. თბილისის საკრებულოს წევრი თინა ხიდაშელი ამტკიცებდა, რომ გეგენავასთან ერთად „ნუგეშის“ უკან გიგი უგულავაც იდგა. გეგენავა სწორედ უგულავას ბანაკში მოიაზრება. რაც შეეხება „ნუგეშს“, ეს მაღაზიები პენსიონერებისთვის არის გახსნილი. უგულავას თუ დაეჯერება, ამ მაღაზიებში პროდუქტები იაფად იყიდება.

ძალოვან სტრუქტურებს გეგენავა წლების განმავლობაში ამარაგებდა. ოპოზიციის მტკიცებით, ამით მან სოლიდური შემოსავალი მიიღო და მომავალშიც ასე იქნებოდა, თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიასთან რომ არ მოსვლოდა კონფლიქტი.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტრომ მასთან გაფორმებული კონტრაქტი გააუქმა. სამხედრო უწყების გარდა, მასთან ურთიერთობა ხათუნა კალმახელიძის უწყებამაც შეწყვიტა.

თინა ხიდაშელი ყოველთვის აპროტესტებდა იმას, რომ გეგენავა კვების პროდუქტიების მონოპოლისტი იყო. თუმცა ამჯერად გეგენავას ჩაჩოჩებამ ის ცოტათი დაამწუხრა. რესპუბლიკელთა ერთ-ერთი ლიდერი, ცხადია, გეგენავას გამო არ შეწუხებულა. უბრალოდ, ის ეჭვობს, რომ ქვეყანაში ახალი მონოპოლისტი გამოჩნდება, რასაც საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდა მოჰყვება.

— საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას აინტერესებს, გამოიწვევს თუ არა კვების პროდუქტების ბაზარზე სრული მონოპოლისტის, დეპუტატ არჩილ გეგენავას კომპანიების დისკვალიფიკაცია საკვები პროდუქტების ფასების კიდევ უფრო გაძვირებას? — კითხულობს თინა ხიდაშელი.

თბილი და შემოსავლიანი ადგილი ცარიელი არასდროს არ რჩება. ხიდაშელიც დარწმუნებულია, რომ გეგენავას ადგილს ვინმე სხვა დაიკავებს, რომელიც ხელისუფლებასთან იქნება დაახლოებული.

— არჩილ გეგენავა სრული მონოპოლისტი იყო კვების პროდუქტების ბაზარზე, ფასებიც სწორედ მასზე იყო დამოკიდებული. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, რა გავლენას მოახდენს სამომხმარებლო კალათაზე მისი ბაზარზე ჩანაცვლება. რესპუბლიკური პარტია მრავალი თვის მანძილზე საზოგადოებას აცნობდა დოკუმენტაციას ხელისუფლების მიერ საკვები პროდუქტების ბაზარზე სრული მონოპოლიის დამყარების შესახებ, ასევე — მრავალ ასეულ მილიონიან სახელმწიფო ტენდერებში უალტერნატივო გამარჯვებისა და კორუფციული გარიგების თაობაზე კონკრეტულ ფაქტებს. დღეს სრულიად ნათელია, რომ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო დეპუტატ გეგენავას პრობლემები შეექმნა, მისი ფირმები დისკვალიფიცირებულია ტენდერებიდან, რამდენიმე უწყებამ მათ შორის შსს-მ, უკვე გაუწყვიტა მოგებული ტენდერები და მის საკუთრებაში არსებული პრაქტიკულად არც ერთ მსხვილ ფირმას ახალ ტენდერებში მონაწილეობა აღარ მიუღია. რესპუბლიკელები მივმართავთ ხელისუფლებას, ვინაიდან დიდია საზოგადოების ინტერესი ქვეყანაში ელიტარული კორუფციის მიმართ და არსებობს ძალიან კონკრეტული და დასაბუთებული ბრალდებები ამგვარ კორუფციულ სქემებში დეპუტატებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შესახებ, საზოგადოებას აუხსნას საკვები პროდუქტების მიწოდების სფეროში რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკის მიზეზები, — განაცხადა ხიდაშელმა.

მისი განცხადებით, ეს საკითხი ყოველი ოჯახისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.


არჩილ გეგენავა

— ამიტომაც საზოგადოება უნდა ფლობდეს ზუსტ ინფორმაციას, რა გავლენას მოახდენს სამომხმარებლო კალათაზე მისი ბაზარზე ჩანაცვლება, — აღნიშნა ხიდაშელმა.

მისი ინფორმაციით, გეგენავას კომპანიები საკვები პროდუქტებით ამარაგებდნენ როგორც სახელმწიფო უწყებებს, ასევე კერძო სუპერმარკეტების ქსელებს, მათ შორის „პოპულს“.

თინა ხიდაშელის განმარტებით, გეგენავა საქართველოში შემოსული ზეთის თითქმის ყველა დასახელების ერთპიროვნული მონოპოლისტია.

ხიდაშელის მტკიცებით, გეგენავას ასევე ეკუთვნის დაცვის სამსახური „თორი“. ხორც-პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ვაკე“, პურ-პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „კოლხი“. დასუფთავების სამსახური „სუფთა სამყარო“, კომპანია „მეგაფუდი“ და „ფუდსერვისი“. გეგენავა ქართულ ბაზარზე კონსერვების უმსხვილესი იმპორტიორიცაა.

ხიდაშელი პირობას დებს, რომ გეგენავას ჩაჩოჩებას და საკვები პროდუქტების ბაზარზე ახალი მონოპოლისტის გამოჩენის პროცესს ყურადღებით დააკვირდება და საზოგადოებას დეტალურ ინფორმაციას მიაწვდის.

რაც შეეხება არჩილ გეგენავას ის ამასთან დაკავშირებით კომენტარებს არ აკეთებს. სხვათა შორის ის თბილისის მერობის კანდიდატაც კი მოიაზრებოდა. თუმცა ბოლო მომენტში ნაციონალებმა მას ისევ გიგი უგულავა ამჯობინეს.

# ნიკა გილაური: სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტები სახელმწიფოს ხელში დარჩება


ნიკა გილაური

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ირწმუნება, რომ სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტები სახელმწიფოს ხელში დარჩება. მთავრობის სხდომაზე იგი პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებულ, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტს გამოეხმაურა, რომელიც სახელმწიფო კომპანიების წილებისა და აქციების საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე განთავსების საშუალებას იძლევა.**

გილაურის განცხადებით, ამ სიახლის დანერგვა ქვეყანაში ინვესტიციის მოზიდვასა და დამატებითი სამუშაო ადგილის შექმნას შეუწყობს ხელს.

— საქართველოს მთავრობა არც ახლა და არც მომავალში ამ კომპანიების საკონტროლო პაკეტების გასხვისებას არ აპირებს. ჩვენი მიზანია, მათი მინოტარული პაკეტები საერთაშორისო ბირჟებზე განთავსდეს. ლაპარაკია მათი აქციების 20-25-30 პროცენტზე. 49 პროცენტზე მეტი არცერთ შემთხვევაში არ განთავსდება. 51 პროცენტი, მენეჯმენტი და მმართველობა სახელმწიფოს ხელში დარჩება. სწორედ მას ექნება ძირითადი გადაწყვეტილების მიღების საშუალება და უფლება, — აღნიშნა ნიკა გილაურმა.

მისი თქმით, სახელმწიფოს მიზანი ამ ტრანზაქციის შედეგად ქვეყანაში ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციის მოზიდვა, სამუშაო ადგილების შექმნა და ეკონომიკის ზრდაა. თუ უახლოეს თვეებში ყველა ტრანზაქცია შესრულდება, ქვეყანაში ნახევარ მილიარდზე მეტი დოლარი შემოვა.

— ეს ჩვეულებრივი ტრანზაქციაა, რომელიც თითქმის ყველა განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში განხორციელდა. თითქმის ყველა ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების მინორიტარული პაკეტები საერთაშორისო ბირჟებზეა განთავსებული. ბირჟებზე მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ვადევნებთ თვალს. რა თქმა უნდა, ახლა სახარბიელო ვითარება არ არის და, შესაბამისად, თარიღს ვერ ვასახელებთ. საერთაშორისო ბირჟებზე აქციებს მაშინ განვათავსებთ, როცა საუკეთესო მომენტი დადგება, — აღნიშნა ნიკა გილაურმა.

**მედიანიუსი**

# ოპოზიცია პრემიერის განცხადების ოფიციალურად დადასტურებას ითხოვს

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია, სახელმწიფო კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტების გასხვისებასთან დაკავშირებით, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადების ოფიციალურად დადასტურებას ითხოვს.

— საქართველოს პრემიერმა, ჩემი წერილის საპასუხოდ, გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სტრატეგიული ობიექტების საკონტროლო პაკეტები არ გაიყიდება, თუმცა, გილაურის განცხადება ჯერ დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ალსანიამ.

მისივე თქმით, შესაბამისად, „თავისუფალი დემოკრატები“ გააგრძელებენ ამ საკითხის მონიტორინგს, რათა საქართველოს მოქალაქეებისა და ქვეყნის ეკონომიკის ინტერესები ბოლომდე დაცული იყოს.

**ინტერპრესნიუსი**

# დავით ბაქრაძე სამუშაო ვიზიტით სლოვენიაში გაემგზავრა


დავით ბაქრაძე

საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ხელმძღვანელობით, გუშინ გამთენიისას სლოვენიაში გაემგზავრა.

დაგეგმილია შეხვედრები სლოვენიის პარლამენტის თავმჯდომარესთან, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრებთან. ქართველი პარლამენტარები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსაც შეხვდებიან.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სლოვენიის პრემიერს და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდება. განხილვის მთავარი თემა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერაა. ისაუბრებენ ასევე უსაფრთხოების საკითხებზე, ქართულ-რუსულ ურთიერთობებსა და საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციაზე. **პრაიმ-ნიუსი**

# დღეს ახალი სასწავლო წელი იწყება

დღეიიდან საქართველოს ყველა სკოლაში ახალი სასწავლო წელი იწყება. როგორც „მედიანიუსს“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განუცხადეს, სწავლა ქვეყნის მასშტაბით არსებულ 2010 სკოლაში ერთდროულად დაიწყება. მათ შორის ისეთ სკოლებშიც, სადაც სარემონტო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა.

ყველა სკოლაში პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა ძალაში შედის — ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ განათლების მინისტრმა განაცხადა.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მე-12 კლასის ჩათვლით არის გაწერილი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მთლიანი გეგმის იმპლემენტაცია რთულია და დაკავშირებულია სახელმძღვანელოების შექმნასთან, წელს გეგმა ძალაში შედის მხოლოდ მეექვსე კლასის ჩათვლით.

ახალი სასწავლო გეგმა ბევრ სიახლეს ითვალისწინებს. კერძოდ, წელს ყველა პირველკლასელი ისწავლის ინგლისურ ენას. ისინი მიიღებენ საქართველოს პრეზიდენტის საჩუქარს „ნეთბუქს“.

სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ეს წიგნები სკოლაში დარჩება.

იცვლება პირველიდან მეექვსე კლასამდე ყველა სახელმძღვანელო. გარდა ამისა, ახალი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მათემატიკის გაძლიერებულ სწავლებას. მომავალი წლიდან კი მე-7 მე-12 კლასებში ძალაში შევა ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის გაძლიერებული სწავლება. სასწავლო საგნებს კი კიდევ ერთი — მეცნიერება დაემატება.

**მედიანიუსი**

# ჟურნალისტის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიება სხეულის დაზიანების მუხლით დაიწყო, — იუწყება კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

როგორც პროკურატურაში განმარტეს, იმ შემთხვევაში თუ ცემის შედეგად ჟურნალისტს სხეულის დაზიანება არ მიუღია, საქმე გადაკვალიფიცირდება იმ მუხლით, რაც გამოიკვეთება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრს მიაჩნია, რომ საქმე სსკ-ის 154-ე მუხლით უნდა აღძრულიყო, რაც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას ითვალისწინებს. დანაშაულის ამსახველი ვიდეომასალა კახეთის საინფორმაციო ცენტრმა იმ დღესვე გაავრცელა.

შეგახსენებთ, რომ თურქული კომპანია „უმუთ ინშაათის“ წარმომადგენლებმა, ფიზიკური ძალის გამოყენებით, გუშინ, გურჯაანში, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტს მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციის გადაღების უფლება არ მისცეს. კომპანიის ხელმძღვანელებმა ჟურნალისტს ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს. ინციდენტის შედეგად ვიდეოკამერა დაზიანდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## დღეს რუსეთ-საქართველოს საზღვართან სამონასტრო კომპლექსი გაიხსნება



დღეს დარიალის ხეობაში, რუსეთ საქართველოს საზღვართან მთავარანგელოზის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსი საზეიმოდ გაიხსნება.

მონასტერში საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირველ წირვას აღავლენს.

უწმინდესის მოწოდებაა, მრევლმა, ვისაც საშუალება ექნება, მონასტერში ერთი ტომარა ფქვილი, ერთი ბოთლი წითელი ღვინო და ერთი ბოთლი ზეთი მიიტანონ. როგორც პატრიარქმა განმარტა, ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მონასტრისთვის, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც.

როგორც ილია II ბრძანა, ფაქტი, რომ სამონასტრო კომპლექსი რუსეთ საქართველოს საზღვართან აშენდა შემთხვევითი არ არის და ეს იქნება საქართველოს დაცვა.

შეგახსენებთ, რომ პატრიარქი დარიალის ხეობაში ივნისის თვეში იმყოფებოდა, სადაც სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაათვალიერა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**მედიანიუსი**

## დიმიტრი შაშკინი სკოლის მანდატურებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მანდატურებს შეხვდა და სკოლაში მათი მუშაობის განვლილი ერთი წელი შეაჯამა.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, ამ ხნის განმავლობაში სკოლებში დამკვიდრდა დისციპლინა, გაიზარდა მოსწავლეთა დასწრება, აღმოიფხვრა დანაშაულის ფაქტები. მიღწეული შედეგების გამო მინისტრმა მანდატურებს მადლობა გადაუხადა და განმარტა, რომ სამინისტრო მომავალშიც იზრუნებს მათ პროფესიულ ზრდაზე.

შეხვედრაზე მანდატურის სამსახურში განხორციელებულ სიახლეებზეც ისაუბრეს. ზაფხულის განმავლობაში მანდატურები სხვადასხვა მიმართულებით გადიოდნენ გადამზადებას, სწავლობდნენ კომპიუტერსა და ინგლისურ ენას, გაიარეს ბავშვებთან მუშაობის ფსიქოლოგიური კურსიც.


დიმიტრი შაშკინი

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზაფხულის პერიოდში ისინი სამაშველო კურსსაც გადიოდნენ. ყველა სკოლაში სამიდან ერთ მანდატურს მაშველის კვალიფიკაცია აქვს.

ყველა მოქმედ მანდატურს ფსიქოლოგიურ ასპექტებზე, სამართალდარღვევებზე რეაგირების წესზე, პროფესიულ ეთიკასა და აკადემიურ წერაზე, უნარშეზღუდულ და ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან კონტაქტის დამყარებაზე ტრენინგები ჩაუტარდათ, რაც მათ დაეხმარებათ საქმიანობა უფრო ეფექტური გახადონ, სწორი კვალიფიკაცია მისცენ საქმიანობისას გამოვლენილ სამართალდარღვევებს და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ მათზე.

სასწავლო დაწესებულებების მანდატურებმა სამაშველო კურსებიც გაიარეს. სამაშველო საქმიანობა დახმარებისა და საფრთხეებისაგან მოსწავლეთა დაცვის სხვადასხვა მეთოდებისა და საშუალებების ცოდნას მოიცავს, იგულისხმება როგორც ბუნებრივი ასევე, სპონტანურად შექმნილი საფრთხეები.

მანდატურებმა შეისწავლეს ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური დაბინძურების დროს უსაფრთხოების ნორმების დაცვა, წყალთან დაკავშირებული საფრთხეების თავიდან აცილება.

მანდატურები პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას ნებისმიერ საგანგებო სიტუაციაში შეძლებენ, მათ შორის სატრანსპორტო უბედური შემთხვევის, ხანძარის, მიწის ძვრის, წყალდიდობის, მეწყერის და ა.შ.

ახალი სასწავლო წლიდან ყველა მოქმედი მანდატური სკოლებში სხვადასხვა სახის დარღვევების აღრიცხვის ფურცელს ელექტრონულად შეავსებს. დარღვევის თითოეული ფაქტიკომპიუტერში დაფიქსირდება და სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს ელექტრონულად გადაეცემა. ეს პროგრამა მანდატურებს სწრაფ და ხარისხიან მუშაობაში დაეხმარება.

**მედიანიუსი**

# საქართველოში 45 ათასი პატიმარია

### ბიუჯეტი პატიმრების ხარჯზე ივსება

შორენა კოწოწაშვილი

**ინტერვიუ ლალი აფციაურთან**

***— ქალბატონო ლალი, როგორ შეაფასებდით დღეისათვის პენიტენციალურ სისტემაში შექმნილ ვითარებას? ფაქტია, იგივე უცხოელებიც საქართველოს ხელისუფლების მსგავსად, წარმატებულს უწოდებს რეფორმას, რომელიც ციხეებში გატარდა.***

— საქართველოში არანაირი რეფორმა არ გატარებულა და რასაც თქვენ „წარმატებულს“ უწოდებთ, ის რეფორმად არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აშენდა კოსმეტიკურად ლამაზი შენობები. გარედან ჩანს ეს შენობები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, თორემ შიგნით რა მდგომარეობაც არის გაყვანილობის, ვენტილაციის და ა.შ კუთხით, ეს არის კატასტროფა. ის, რომ ახლად აშენებული ციხეები მეორე დღესვე ნგრევას იწყებს და ათასი უბედურებაა, ეს ცნობილი ფაქტია და ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც შეეხება რეფორმას, არ ვიცი, ესენი რეფორმას რას უწოდებენ. იმას, რომ გარკვეულ დაწესებულებებში პირადი პაემნები დაუშვეს? ეს ფასიანი შეხვედრებია. გამოყოფილია ოთახი და ოჯახები ხვდებიან 60 ლარის ხარჯზე. ეს მსოფლიო სტანდარტია და აქ სააკაშვილს რაიმე სიახლე არ დაუნერგავს. უფრო მეტსაც გეტყვით, უცხოეთში არა მარტო 6 თვეში ერთხელ ან თვეში ერთხელ აქვთ ოჯახთან ურთიერთობის საშუალება, არამედ კვირაში ერთხელ. ეს იმისათვის, რომ პატიმრის ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში და ის ციხიდან გაბოროტებული არ გამოვიდეს. რაც შეეხება სიტუაციას, მინდა გითხრათ, რომ პატიმრები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. სიტუაცია ყოველდღიურად მძიმდება. იმიტომ, რომ ყოველდღიურად არის ფაქტები წამების, არაადამიანური მოპყრობის. უამრავი პატიმრის წერილი მოდის, სადაც პირდაპირ წერენ, ჩვენ სიკვდილს არ ვაპირებთ, თავის ჩამოხრჩობას არ ვაპირებთ, ჩვენ სხეულზე თვითდაზიანების მიყენებას არ ვაპირებთ და თუ რამე დაგვემართა, ამათი, ციხის ადმინისტრაციის, ხელით იქნება გაკეთებულიო. არ ვიცი ეს პატიმრების დაშინებისთვის სჭირდებათ მხოლოდ თუ მეორეხარისხოვან ადამიანებად თვლიან მათ და გასანწყვეტად ჰყავთ გამეტებული, მაგრამ პატიმრების მიმართ რომ მიზანმიმართულად მოქმედებენ ასე სასტიკად, ეს აშკარაა.

***— ადვოკატების ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პატიმრების წამების მეთოდები დახვეწა. საბჭოთა პეროდშიც არ იყო ასეთი მძიმე ფაქტებიო.***

— ეს მეც პირდაპირ შემიძლია დავადასტურო. იცით, რომ ციხეებთან შეხების დიდი პრაქტიკა მაქვს. მე არ მქონია კომუნისტების პერიოდში შემთხვევა, სადაც პატიმარს გაუპატიურებით ემუქრებოდნენ და თან ყველა მეორეს, თუ არა ყოველ პირველს. მე არ მსმენია, რომ პატიმარს აყურებინებდნენ გადახრილი ორიენტაციის მქონეთა სექსუალურ ურთიერთობას. დღეს კი ასეთი ფაქტები ხშირია. ანუ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ციხეების თანამშრომლები პირდაპირ არიან სექსუალური ძალადობის გამომხატველები და განმახორციელებლები. სექსუალური ძალადობის უამრავი ფაქტი ხდება ციხეებში. შეიძლება ასეთი ერთეული შემთხვევები კომუნისტების ციხეებშიც ხდებოდა, მაგრამ მასობრივი ხასიათი ამას არ ჰქონია, როგორც დღეს. უმძიმესი მდგომარეობაა პატიმართა კვების და სამედიცინო მომსახურების კუთხითაც. ყველანაირად უმძიმესი მდგომარეობაა და ამას ხელისუფლება და კალმახელიძე მალავს.

***— პატიმრები ვერ ბედავენ ასეთი ფაქტების შესახებ ღიად თქვანო. ასეთი დიდია მათზე ზეწოლა და შიში?***

— რა თქმა უნდა. თუ პატიმარს არ ჰყავს პატრონი — ადვოკატი, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. თან ისეთი ადვოკატი, რომელიც პატიმრის დასაცავად ხმას ამოიღებს. ჩათვალეთ, რომ მებრძოლი ადვოკატების გარეშე ვინც არიან, ყველა პატიმარი შიშის და ტერორის ქვეშაა. ეშინიათ, ხმა რომ ამოიღონ, საკუთარი უფლებების დასაცავად ჩურჩულით გელაპარაკებიან იქ მომხდარ უკანონობებზე. ერთეულები გამოერევა, ვინც ხმის ამოღებას ბედავს და იქ რალაც შედეგამდე მიდიხარ. თორემ სხვა შემთხვევაში უამრავი ფაქტი შეიძლება გავიხსენო, სადაც პატიმრების სუსტი დაცვიდან გამომდინარე, არაერთ უკანონობას აქვს ადგილი. უამრავი პატიმარი ვიცით ნაწამები, მათ შორის მოკლულიც, რომელიც შემდეგ თვითმკვლელობად დაკვალიფიცირდა.

***— როგორ ფიქრობთ, ყველა ინფორმაციას ფლობს თუ არა მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იმ წამებისა თუ არაადამიანური მოპყრობის შესახებ, რასაც ციხეებში აქვს ადგილი?***

— რა თქმა უნდა, ფლობს ყველა ინფორმაციას. იმიტომ, რომ ყველა გახმაურებული ფაქტი უნდა იყოს მისთვის ცნობილი შესაბამისი სამსახურის მხრიდან. თუ მინისტრი კალმახელიძე ვაკუუმშია, ოთახშია შეყუჟული და პრესას არ ეცნობა, ასეთ შემთხვევაში შეიძლება მისთვის ცნობილი არ იყოს, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველა ფაქტი იწერება და ხმაურდება ტელევიზიით. მინისტრი ვალდებულია, როგორც კი კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაციას მიიღებს, შესაბამისი ზომები მიიღოს. გსმენიათ ოდესმე, რომ პატიმრის წამების გამო ვინმე დაესაჯათ? ყველაზე საინტერესო რაც არის: ჩაიხედეთ სახალხო დამცველის ბოლო დასკვნაში. გაკეთდა მონიტორინგის დასკვნა დაახლოებით ორი კვირის წინ ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის ციხეებზე. თვით სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში ამბობს, რომ შარშანდელზე უფრო მძიმე სიტუაციაა საპატიმროებში.

***— ადვოკატების ნაწილი ირწმუნება, რომ დღეს ციხეებს არა კალმახელიძე, არამედ ვანო მერაბიშვილი მართავს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— მერაბიშვილი ძალიან ბევრ რამეს მართავს. მაგრამ მერაბიშვილთან ერთად ციხეებს მართავს ზურაბ ადეიშვილიც. ორივე უწყება მართავს ამ სისტემას. იმიტომ, რომ პატიმრები დღეისათვის არიან ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო. იცით თუ არა, რომ სადღაც 45.000 პატიმრამდე ავედით.

***— ეს ის რაოდენობაა, ვინც სასჯელს ციხეში იხდის?***

— კი. პრობაციონერი 300.000-ია თუ 350.000, ამაზე აღარა მაქვს ლაპარაკი. პატიმართა რაოდენობა ზუსტად ვიცით, რომ 45 ათასზე


ლალი აფციაური

მეტია ჩვენი დათვლებით. ამის გამოთვლა მარტივად შეიძლება. 18 მოქმედი ციხე გვაქვს. თითოეულში ყველაზე მინიმუმ 2.000 პატიმარი იანგარიშეთ. გაითვალისწინეთ ის გარემოება, რომ მე-8 საპყრობილეში დღეის მდგომარეობით 6.000 პატიმარია. რამდენი პატიმარია ქუთაისის საპყრობილეში, რამდენი — ზუგდიდის საპყრობილეში და ა.შ. მინიმუმზე დაიყვანეთ და ისე იანგარიშეთ, რამდენი გამოდის.

***— ქალბატონო ლალი, რა ინფორმაციას ფლობთ პოლიტპატიმრებთან მიმართებაში. მათთანაც იგივე სახის მოპყრობა ხდება, როგორც რიგით კრიმინალებთან მიმართებაში?***

— მინდა გითხრათ, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს და ჩემი პატიმრებიდან გამომდინარე, ვინც პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული, შემიძლია ვთქვა, რომ დღეის მდგომარეობით ასეთი აშკარა ზეწოლა არ ფიქსირდება. მაგრამ, სამაგიეროდ, ფიქსირდება პროვოკაციები. ვთქვათ, იგივე საპატიმროში მყოფი სხვა პატიმრის მხრიდან, რომელიც ხელისუფლებასთან გარიგება-მორიგებაშია და გარკვეული შეღავათების და სასათბურე პირობების გამო ათასნაირ სიბინძურეზე მიდიან. არის ასეთი შემთხვევები. მაგრამ ღიად და აშკარად რომ დაუწყონ დევნა და დაპირისპირება, ასეთი რამ იშვიათად ფიქსირდება. თუმცა თუ ვინმე ფიქრობს, რომ არ არის ზეწოლა, როცა პატიმარს იგივე პოლიტპატიმარს არა აქვს სათანადო სამედიცნო მომსახურება, როდესაც შეუზუდავენ ოჯახთან ურთიერთობას, როდესაც შეუზღუდავენ ტელეფონზე დარეკვის საშუალებას, მაგრამ ის, რომ ფიზიკურად შეეხონ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს, ასეთი რამ იშვიარად ხდება. ჩემი პატიმრების გარშემო ასეთ ინფორმაციას მე არ ვფლობ.

## რუსი სამხედროები ცხინვალში, აღლუმში მიიღებენ მონაწილეობას

ცხინვალში დისლოცირებული მეოთხე რუსული სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობა ე.წ. სახრეთ ოსეთის რესპუბლიკის დღის აღლუმში მიიღებს მონაწილეობას. ამის შესახებ ცხინვალური სააგენტოები იუწყებიან.

მეოთხე ბაზაზე აღლუმისთვის მოსამზადებელი პირველი სასწავლო შეკრება უკვე გაიმართა. აღლუმში 100 რუსი სამხედრო მიიღებს მონაწილეობას. სამხედრო ნაწილში სასწავლო ვარჯიში ყოველდღე გაიმართება და სექტემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება. შემდეგ კი სამხედროები სავარჯიშოდ ცხინვალის თავისუფლების მოედანზე გადაინაცვლებენ, სადაც საზეიმო აღლუმი უნდა გაიმართოს.

ცხინვალის რეჟიმი 20 სექტემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 21 წლისთავს აღნიშნავს. „რესპუბლიკის დღის“ ზეიმი სამი დღის განმავლობაში — 19-დან 21 სექტემბრამდე გაგრძელდება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭომ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა 1990 წლის 20 სექტემბერს გამოაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**


ცხინვალი

## შიდა ქართლს ახალი გუბერნატორი ჰყავს

შიდა ქართლს პრეზიდენტის ახალი რწმუნებული ჰყავს. აღნიშნულ თანამდებობაზე ზურაბ არსოშვილი დეპუტატმა გიორგი ტატიშვილმა შეცვლა.

ტატიშვილი გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით ტყეშელაშვილმა ოფიციალურად წარადგინა.

შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორი კი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ არსოშვილმა გუბერნატორის პოსტზე ამჟამინდელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი 2010 წლის ზაფხულში შეცვალა.

ცნობისთვის: შიდა ქართლში პრეზიდენტის ახალი რწმუნებული გიორგი ტატიშვილი 2008 წლის საპარალმეტო არჩევნებამდე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო სამსახურში მუშაობდა. აღნიშნულ უწყებაში მუშაობა მან 2007 წელს დაიწყო. მანამდე კი 1996-2007 წლებში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თაანმშრომელი იყო.

**მედიანიუსი**

## „თავისუფალი დემოკრატები“ წყალტუბოს სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ

„თავისუფალი დემოკრატები“ წყალტუბოს რაიონის სოფლების, მესხეთისა და მუხიანის მოსახლეობას შეხვდნენ. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ სოფლების მცხოვრებლებმა გამგეობის დავალებით ჰიბრიდული სიმინდი დათესეს, თუმცა მოსავალი ვერ მიიღეს.

„თავისუფალი დემოკრატების“ ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა, სოფლის მეურნეობის მინისტრს ამ სოფლებში ჩასვლა ურჩია.

— ბაკურ კვეზერელი აგრონომებს თბილისში, დარბაზში ხვდება, იმის მაგივრად, რომ სოფლეში ჩავიდეს და ის ყანები ნახოს, სადაც მათმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. აქ აგრონომები არ ჰყავთ, გლეხები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. მათ აღარც მოსავალი აქვთ და ვალში აღებული თესლის ფულიც უნდა გადაიხდონ, — განაცხადა ონოფრიშვილმა.

გლეხების თქმით, მოსავლის მისაღებად ყანებისთვის ხვნა, მარგვლა, მორწყვა და სასუქი არ დაუკლიათ, თუმცა მთელი ძალისხმევა წყალში ჩაეყარათ.

**ინტერპრესნიუსი**

# ოპოზიციური „ექვსიანი“ იშლება?!

## რატომ დაგეგმა „ეროვნულმა ფორუმმა“ ქართველთა მარში

ქეთი ხომერიკი


გუბაზ სანიკიძე

**ოპოზიციაში პოლიტიკური განქორწინებების, გადაჯგუფებებისა და გაწევ-გამოწევის დრო დადგა. ოპოზიციურ ძალებში ისეთი შიდა დაპირისპირებაა, რომ ალასანიას „ექვსიანი“ თურმე თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლის. ბოლო პერიოდი საკმაოდ აქტუალური იყო კითხვა — „ექვსიანი“ ბლოკად ჩამოყალიბდებოდა თუ არა, ახლა კი ირკვევა, რომ იგი არა თუ ბლოკად ჩამოყალიბდება, არამედ შესაძლოა საერთოდ დაიშალოს. სხვათა შორის, განაცხადა კიდეც სანიკიძემ — „ექვსიანის“ ბლოკად ჩამოყალიბებას არ მივესალმებიო. აი, თუნდაც ამითაც ნათქვამია ყველაფერი....**

რა უნდა „ეროვნულ ფორუმს“? რატომ არ მიესალმება „ექვსიანის“ ბლოკად ჩამოყალიბებას? რატომ დააანონსა მოულოდნელად „ქართველთა მარში“? მოდით, ამაზე მოგვიანებით. ერთი რამ ფაქტია, კარგა გვარიანად დასვენებულ „ეროვნულ ფორუმს“ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ბრძოლა დიდად აღარ ხიბლავს, შესაბამისად, არც „ხუთიანთან“ ერთად კეკლუცობა, ახლა ფორუმი აქციებს ქართული ენის დასაცავად გეგმავს (ცუდს ამაში, ბუნებრივია, ვერაფერს ვხედავთ, პირიქით, რომ არა... ), საზოგადოებას სუპერაქტიურობას ჰპირდება და აღნიშნავს, რომ აქციებს პერმანენტული სახე ექნება. 27 სექტემბერს „ქართველთა მარში“ გაიმართება. სანიკიძის განცხადებით „მარში“ ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპის დასაწყისი უნდა გახდეს და ხალხმა ხელისუფლების წინააღმდეგ საკუთარი მრისხანება უნდა დააფიქსიროს, მის ამ ინიციატივას პოლიტიკური პარტიების ნაწილი არ უერთდება. სხვათა შორის, ქართველი ხალხის ნაწილმა ხელისუფლების წინააღმდეგ საკუთარი მრისხანება ,,სახალხო კრების“ აქციებზე დააფიქსირა, დიახ, ქართველმა ხალხმა, აი, „ეროვნული ფორუმი“ კი იქ, ამ ქართველი ხალხის გვერდით არ ყოფილა, მაშინ ფორუმი საარჩევნო გარემოს აუმჯობესებდა... ახლა კი, შარტავას პარტიისთვის ალასანიასგან განსხვავებით, რომელიც აქციების დაწყებას ამ მიზნით აპირებს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, როგორც შევიტყვეთ, მოდაში დიდად აღარ არის. და რა შეიცვალა ახლა? ვინ იცის...

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით თითქმის ერთწლიანი ბრძოლის შემდეგ სანიკიძე იმასაც აცხადებს, ბოლომდე ისიც არ გვაქვს გადაწყვეტილი, მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას, ან საერთოდ იქნება კი არჩევნებიო. აი, ეს ყველაფერი ცოტა უცნაურია... და თუ მაინც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ცალკე და არა „ხუთიანთან“ ერთად. რატომ? კულუარული ინფორმაციით, „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „ეროვნულ ფორუმს“ შორის ბოლო პერიოდში ურთიერთობები ძალიან გაფუჭებულა, რამდენიმე დღის წინ კი „ფორუმს“ საერთოდ გაუოგნებია და გალიმებული დაუტოვებია ექვსიანში შემავალი პარტიის ლიდერები. რამ გაანაწყენა სანიკიძე და მისი თანაპარტიელები?

„ახალი თაობის“ კონფიდენციალური წყაროს ცნობით, რამდენიმე დღის წინ „ეროვნულმა ფორუმმა“ ექვსიანში შემავალ პარტიის ლიდერებს ულტიმატუმი წაუყენა — ან საარჩევნო სიაში პირველი 7 კანდიდატურა ჩემი იქნება, ან არადა, რა ბლოკზეა საუბარი, ექვსიანს ვტოვებთო. 7 კანდიდატურა თქვენ და ჩვენ სად ვართ ამ დროსო? — უკითხავთ „ექვსიანის“ სხვა სუბიექტებს და, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი წასულან. აი, ამ საუბრის შემდეგ სანიკიძემ ექვსიანში შემავალ სუბიექტებთან შეუთანხმებლად, მათთვის მოულოდნელად, „ქართული მარში“ დააანონსა, რამაც „ხუთიანში“ სრული გაუგებრობა გამოიწვია. მოკლედ, „ექვსიანი“ თავისი არსებობის ბოლო დღეებს ითვლის, გვარწმუნებს წყარო.

აი, კიდევ რას გვიყვება იგივე წყარო. საერთოდაც, „ექვსიანის“ დაშლის მთავარი მიზეზი ისაა, რომ არსებობს დაპირისპირება სახელისუფლებო შტოებს შორის, კერძოდ, მერაბიშვილსა და ბოკერიას შორის და ამ დაპირისპირების პროექცია არის დაპირისპირება „ექვსიანში“. „ექვსიანმა“ თავისი ფუნქცია ამოწურა, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც იყო ჩაფიქრებული, ახლა „ექვსიანმა“ ჩაილურის წყალი უნდა დალიოს. მას პოლიტიკური პროცესების ბლოკირება უნდა მოეხდინა, რაც უკვე შეასრულა, ამიტომ ახლა, მავრი უნდა წავიდეს.

იგივე წყარო კვლავ ფორუმზე გვიმახვილებს ყურადღებას და აი, რას გვეუბნება. მსგავსი პრობლემა ჰქონდა ეროვნულ ფორუმს სახალხო კრებასთან, ანუ ფორუმმა მოსთხოვა კრების აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენლებს, ყველა რაიონული ოფისის ხელმძღვანელად მათი წარმომადგენლების დანიშვნა, რამაც ბუნებრივია, უთანხმოება გამოიწვია და ფორუმს კრებიდან წამოსვლის მშვენიერი მიზეზი მიეცა და წამოვიდა კიდეც. ეროვნული ფორუმი და შესაბამისად, ქართული მარში ხელისუფლების პროექტია. „მარში“ საჭიროა ნამდვილი პროცესების დუბლირების მიზნით, ასევე პრევენციის მიზნითაც. სულ მალე ალასანიას და ფორუმის დაპირისპირების მომსწრენი გახდებით, დაიწყება ურთიერთბრალდებების ტალღა, დასძინა წყარომ.


ირაკლი ალასანია

„ახალი თაობა“ კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ეროვნული ფორუმის წარმომადგენელს ანი მიროტაძეს დაუკავშირდა:

**ანი მიროტაძე:**

— არ ვადასტურებთ ამ ინფორმაციას. სხვათა შორის, თავის დროზე საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ინიციატივა ფორუმმა წამოაყენა, შესაბამისად, ამ იდეის ირგვლივ გაერთიანება მოხდა ამ პარტიის მიერ სხვა პარტიებისა. ჩვენ ვაპირებთ ბრძოლის გაგრძელებას, რადგან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი თემა. თუ ეროვნული ფორუმი 27 სექტემბერს დებს თავის ინიციატივას ქართველთა მარშთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მოვდივართ ექვსიანიდან. საარჩევნო გარემოს შეცვლის პარალელურად ჩვენ ვიწყებთ პარტიულ აქტივობას. ერთი მეორეს ხელს არ უშლის, ბრძოლა გრძელდება. საერთოდ კვოტებზე და საერთო სიაზე ლაპარაკი არ ყოფილა და გეტყვით, რატომაც არ ყოფილა, ძირითადად საუბარი იყო პლატფორმაზე, რომელზეც ან შეთანხმდებოდნენ პარტიები, ან ვერ შეთანხმდებოდნენ. პლატფორმაში იგულისხმება როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკა და სხვადასხვა სტრატეგიული მიმართულებები. სხვა განსახილველი საკითხი ექვსიანში არ ყოფილა. რაც შეეხება ალასანიას, ბევრად კარგი ურთიერთობა გვაქვს მასთან, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია. წავიკითხე, ამერიკელების პროექტიც ყოფილა ქართული მარში, ამერიკის საელჩოში დაწერილა და თუ ამერიკის საელჩო და ხელისუფლება ფიქრობს, რომ „ქართველთა მარში“ უნდა მოაწყოს ფორუმმა, იფიქრონ, მათი პრობლემაა.

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ პრესსამსახურის ხელმძღვანელს ვაკო ავალიანსაც ესაუბრა. ავალიანის თქმით, კვოტებზე საუბარი არ ყოფილა, რადგან არჩევნებამდე დიდი დროა დარჩენილი და ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. — რაც შეეხება იმას, შევუერთდებით თუ არა ეროვნული ფორუმის ინიციატივას „ქართველთა მარშს“, გეტყვით ერთს, რომ 27 სექტემბერს ჩვენ ჩვენი პარტიული ღონისძიებები გვაქვს დაგეგმილი, — განაცხადა ავალიანმა ჩვენთან საუბრისას.

# „საქართველო საინვესტიციო კრახის ზღვარზეა“

**პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატების“ წარმომადგენლის გიორგი ხოკერაშვილის თქმით, საკუთრების უფლებების დარღვევის ფაქტები, საგადასახადო კოდექსის ხშირი და სწრაფი ცვლილებები, დამოუკიდებელი სასამართლოს არ არსებობა, არასწორი ფულად საკრედიტო პოლიტიკა და არაჯანსაღი კონკურენტული გარემო საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას აფერხებს.**

ამის შესახებ გიორგი ხოკერაშვილმა პარტიის ოფისში გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხდა.

მისი თქმით, საქსატატის მონაცემებით, 2011 წლის მეორე კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობამ 203 მილიონი დოლარი შეადგინა.

— აღნიშნული მაჩვენებელი 5 მილიონი დოლარით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პეროდთან შედარებით, რაც საინვესტიციო კრახს ნიშნავს. როგორც ჩანს, ხელისუფლებას არა მარტო საინვესტიციო გეგმის პროგნოზირება, არამედ იმ მიზეზების დადგენაც უჭირს, თუ რატომ არ არის მიმზიდველი საქართველო უცხოური ინვესტორებისთვის. საქართველოს მთავრობა 2011 წელს ქვეყანაში 1 მილიარდი დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას ელის. ანალოგიურ პროგნოზს ხელისუფლება 2010 წელსაც აკეთებდა, თუმცა 1,2 მილიარდი დოლარის ნაცვლად გასულ წელს მთლიანობაში 553 მილიონი დოლარის ინვესტიცია შემოვიდა,— განაცხადა მან.

როგორც ხოკერაშვილმა აღნიშნა, 2011 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან თვრამეტმა ქვეყანამ ჯამში 53 მილიონი დოლარი უკან გაიტანა, ხოლო ყველაზე მეტი კაპიტალის, კერძოდ, 34 მილიონის გადინება ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა. ამ პროცესმა ქვეყანაში ავტომატურად გამოიწვია ქვეყანაში სამუშაო ადგილების შემცირება, რამაც ქვეყნის განვითარებას სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

საქართველოს ევროპელ დემოკრატებს მიაჩნიათ, რომ ინვესტიციების კლების მთავარი მიზეზი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობაა.

პარტია ხელისუფლებას მოუწოდებს, გაატაროს დაუყოვნებლივი ღონისძიებები, იმისთვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას პროგნოზირებადი გარემო როგორც საგადასახადო, ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით.

**მედიანიუსი**

# „ლეიბორისტები“ ხელისუფლების წევრების დასვენების ხარჯებით დაინტერესდნენ


პაატა ჯიბლაძე

„ლეიბორისტები“ მთავრობის წევრებისა და პარლამენტარების დასვენების ხარჯების გასაჯაროებას მოითხოვენ.

ამის შესახებ განცხადება გუშინ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ გააკეთა. მისი თქმით, პარტია საკუთარი კეთილდღეობისათვის დაუღალავად მოღვაწე პარლამენტარებს, მთავრობისა და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს, მოუწოდებს, შეავსონ საზაფხულო შვებულებების დეკლარაციები და საზოგადოებას წარუდგინონ.

ჯიბლაძის განცხადებით, აუცილებელია, რომ მოქალაქეებმა, რომლებმაც უსახსრობის გამო ქალაქიდან გასვლა და დასვენება ვერ მოახერხეს, იცოდნენ თუ რა თანხას ხარჯავენ დასვენებასა და გართობაში მათი ხელისუფლების წარმომადგენლები.

**ინტერპრესნიუსი**

# მამუკა კაციტაძე: მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მინისტრი რომელ სამინისტროში გადავა

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის მამუკა კაციტაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში მინისტრთა მოსალოდნელი კარუსელი ყურადღებას ნამვილად არ იმსახურებს, რადგან ბოლო 8 წლის განმავლობაში დადასტურდა, რომ ეს მხოლოდ სტატისტიკაა და რეალურად არაფერი იცვლება.

აღნიშნული განცხადება „მედინიუსთან“ საუბრისას კაციტაძემ მინისტთა კარუსელთან დაკავშირებით პრესით გავრცელებულ ინფორმაციაზე გააკეთა.

მისი თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი მინისტრი რომელ სამინისტროში გადავა, რადგან მათ მაგივრად ყველა გადაწყვეტილებას ოთხი კაცი — სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეშვილი და ბოკერია იღებს. დანარჩენი მინისტრები კი მათ ბრძანებებს ასრულებენ.


მამუკა კაციტძე

— კარუსელების შედეგად მივიღეთ მხოლოდ სტატისტიკა და არანიარი პოზიტიური შედეგი. 2003 წლიდან ჯერ მარტო რამდენი ეკონომიკის მინისტრი დანიშნეს, ველარ ვითვლი. ასევ იქნება ახლაც და ამაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს. მათაც სწრედ ეს სურს ქვეყანაში არსებული პრბლემებიდან ხალხმა ყურადღება ამაზე გადაიტანოს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, მნიშვნელობა არ აქვს ვინ რომელ სამინისტროს უხელმძღვანელებს, გადაწყვეტილებებს მაინც ეს ოთხი ადამიანი იღებს, — განუცხადა „მედიანიუსს“ მამუკა კაციტაძემ

კაციტაძემ შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის ზურაბ არსოშვილის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დანიშვნაზეც გაამხავილა ყურადღება და დასძინა, რომ არსოშვილი რეალურად დააქვეითეს.

— მან ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ჩამოიშორეს. მინისტრის მოადგილედ დანიშვნა მხოლოდ მის შრომით მოწყობაზე ზრუნვა იყო და არა დაწინაურება. მინისტრის მოადგილე უფლებამოსილებით რეალურად არაფერს წარმოადგენს, — აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

**მედიანიუსი**

# სამხრეთ ოსეთში 20 სექტემბერს „რესპუბლიკის დღეს“ აღნიშნავენ

სამხრეთ ოსეთში 20 სექტემბერს „რესპუბლიკის დღეს“ აღნიშნავენ, — ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება.

„რესპუბლიკის დღის“ ზეიმი სამი დღის განმავლობაში 19-დან 21 სექტემბრამდე გაგრძელდება. ზეიმთან დაკავშირებით დასვენების დღედ 17 სექტემბრის შაბათის ნაცვლად ორშაბათი 19 სექტემბერი გამოცხადდა.

21 სექტემბერს ე.წ. სამხრეთ ოსეთში ღვისმშობლის დღესაც ზეიმობენ.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატების საბჭომ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა 1990 წლის 20 სექტემბერს გამოაცხადა.

**ინტერპრესნიუსი**

# მოსკოვში ქართველი „კანონიერი ქურდი“ დააკავეს

რუსმა სამართალდამცავებმა მოსკოვში, ქართველი, 41 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი, მალხაზ აფციაური დააკავეს.

სამართალდამცავების ინფორმაციით, დაკავებული თბილისის მკვიდრია, 1991 წლიდან კი მოსკოვში ცხოვრობს.

რუსი სამართალდამცავების ცნობით, დაკავებული ე.წ. ,,თბილისური ქურდული ოჯახის“ წარმომადგენელია, რომელსაც კრიმინალურ სამყაროში, საკმაოდ დიდი წონა გააჩნია.

რუსული მედიის ცნობით, აფციაური კრიმინალურ სამყაროში „ვარდენის“ სახელით იყო ცნობილი.

დაკავებისას მას სამართალდამცავებმა 3,39 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინი აღმოუჩინეს.

არსებული ინფორმაციით, მალხაზ აფციაური, ამ დრომდე ნასამართლევი არ ყოფილა.

**მედიანიუსი**

# ვეძათხევში სკოლა ქოხშია განთავსებული

**დუშეთის რაიონის სოფელ ვეძათხევის დაწყებითი სკოლა ქოხშია განთავსებული. ქოხი წნელისგან არის მოწნული და თიხითაა გალესილი. თხელ კედლებზე ნაპრალების დასაფარად რეზინის ნაჭრებია აფარებული. საკლასო ოთახში დაფა, ერთი მერხი, ოთხი სკამი, მასწავლებლის მაგიდა და შეშის ღუმელი დგას.**

2010 წლის იანვრამდე, ვეძათხევის დაწყებითი სკოლა ამავე სოფელში მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში იყო განთავსებული. მას შემდეგ, რაც სახლი მეწყერმა წაიღო, სკოლის ერთადერთმა მასწავლებელმა იმედა ზვიადაურმა სასწავლო დაწესებულება საკუთარ სახლთან, მეზობელ სოფელ ოქრუანში გადაიტანა.

სკოლაში 3 მოსწავლეა. მეორე, მესამე და მეოთხე კლასში თითო - თითო ბავშვია. ყველა კლასს გაკვეთილი ერთ „საკლასო ოთახში", ერთდროულად უტარდება.

— პირველკლასელს ასოებს რომ გამოვუწერ, მეორეკლასელს დაფაზე გამოსაყვან მაგალითებს ვუწერ. ამ დროს მესამეკლასელს მე ვამეცადინებ, მეოთხეკლასელი კი დავალებას ასრულებს...ასე ვანაცვლებ ხოლმე, — ასე აღწერს გაკვეთილს ვეძათხევის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იმედა ზვიადაური. ის ამ სკოლაში 1970 წლიდან მუშაობს. 70 წელს მიღწეული მასწავლებელი ბავშვებს ყველა საგანს თვითონ ასწავლის.

ვეძათხევის დაწყებით სკოლაში უცხო ენა არ ისწავლება. არც სპორტისა და მუსიკის გაკვეთილები ტარდება.

— უცხო ენის მასწავლებელი დიდ სკოლებში არა გვყავს. მანდ ვინ მივა 4 საათის ყვავილის საბაზო სკოლის კლასკომპლექტი ჰქვია.

დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში აცხადებენ, რომ სოციალურად დაუცველი ბავშვების სია ყვავილის საჯარო სკოლამ ერთიანად წარადგინა და სკოლის ადმინისტრაცია მის დაქვემდებარებაში მყოფ კლასკომპლექტს სახელმძღვანელოებს გადასცემს თუ არა, ამას რესურსცენტრი არ აკონტროლებს.

ყვავილის საჯარო სკოლის დირექტორმა მისი სკოლის დაქვემდებარებაში მყოფი კლასკომპლექტი ბოლოს როდის მოინახულა, იმედა ზვიადაურმა ვერ გაიხსენა.

ამ დრომდე გაურკვეველია პირველი კლასის დაკომპლექტების საკითხიც. სოფელში სასკოლო ასაკის ერთი ბავშვია. თუმცა, ოჯახი ამ ბავშვის ვეძათხევის სკოლაში შეყვანას არ აპირებს.

— სკოლა ვეძათხევიდან შორს არის. ოქრუანში რომ გახვიდე, ხევში 1 კილომეტრზე მეტი გზა უნდა გაიარო. მშრალ ამინდში გავლა კიდევ შეიძლება, მაგრამ რომ გაწვიმდეს, რა ვქნათ? გზა მეწყერსაშიშ ზონაში გადის. ნაწვიმარზე მიწა წყდება და დიდი სიფრთხილეა საჭირო, თან რომ არ ჩაგიტანოს. ან ზამთარში ამხელა გზაზე ბავშვი მარტო როგორ გავუშვათ? ჩემი შვილიშვილი 6 წლის უკვე არის, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ წელს სკოლაში არ შევიყვანოთ. თუ შევძლებთ, გაისად დუშეთში სახლს დავიქირავებთ და სკოლაშიც იქ მივიყვანთ, — ამბობს 6 წლის დათოს ბებია ნინო ქაფიაშვილი.

ვეძათხევში სასკოლო ასაკის კიდევ 4 ბავშვია. მათ 4 კლასი უკვე დაამთავრეს და ახალი სასწავლო წლიდან სწავ-



გულისთვის? — ამბობს დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი თინა ბანცური.

სკოლის სამივე მოსწავლე სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა. მათ მშობლებს სახელმძღვანელოების შესაძენად საჭირო თანხა არ აქვთ.

— ვიცი, რომ ყველა სოციალურად დაუცველი ბავშვი სახელმძღვანელოებს უფასოდ იღებს. ჩვენი ბავშვებიც სოციალურად დაუცველები არიან. წიგნები ეკუთვნით, მაგრამ სახელმძღვანელოები მათთვის არავის მოუტანია. ამათ იმის საშუალება არ აქვთ, რომ თავიანთ თავს თვითონ მიხედონ. გამოდის, მე უნდა მივხედო. არადა, მეც არ მაქვს იმდენი საშუალება, რომ ამათ წიგნებს ვდიო. ან კიდევ სად წავიდე, ვის მივმართო? — ამბობს იმედა ზვიადაური.

„ოპტიმიზაციის" შედეგად ვეძათხევის დაწყებითი სკოლა სოფელ ყვავილის საბაზო სკოლას შეუერთდა. ახლა მას

ლა ანანურის სკოლაში უნდა გააგრძელონ. ვეძათხევიდან ანანურამდე დაახლოებით 9 კილომეტრია. ეს გზა მათ ფეხით უნდა გაიარონ. საავტომობილო გზამდე მისასვლელად ბავშვებმა სამი მდინარე უნდა გადალახონ. ადგილობრივების თქმით, სკოლამდე მისასვლელი გზა ძალიან საშიშია და ბავშვების სიცოცხლე რისკის ქვეშ დგას.

— მე ჩემი შვილი მცირე ტიპის ბავშვთა სახლში მივაბარე. მშობლის უფლებები შემიზღუდა სახელმწიფომ, მაგრამ რა ვქნა? ანანურში ვერ ვატარებ. მაშინ მეც მასთან ერთად უნდა ვიარო. სამი მდინარე უნდა გაიარო სანამ სამშვიდობოს გახვალ, არც ხიდია ამ მდინარეზე და არც არაფერი. რამე რომ მოხდეს და ბავშვს რამე დაემართოს, მერე სად წავიდე? მირჩევნია ბავშვთა სახლში იყოს, — ამბობს ვეძათხევის მცხოვრები გელა ზვიადაური.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# რა ცვლილებები შევა საარჩევნო კოდექსში

შორენა გონგლაძე

ხელისუფლება ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებას გეგმავს, რომლის ნაწილიც იქნება ასევე ის შეთანხმებები, რომელიც მმართველმა და რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ივნისში მიაღწიეს. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტოს სივილ.გე-ს დეპუტატმა მმართველი პარტიიდან აკაკი მინაშვილმა განუცხადა.

მინაშვილის განცხადებით, აღნიშნული პროექტი 12 სექტემბერს ოფიციალურად გაეგზავნა ვენეციის კომისიას ექსპერტიზისათვის. მისი თქმით, ახალი კოლექტსი მას შემდეგ იქნება პარლამენტის მიერ დამტკიცებული, რაც ვენეციის კომისია საბოლოო რეკომენდაციას წარმოადგენს, მან ასევე არ გამორიცხა, რომ საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე დაიწყოს საპარლამენტო განხილვები და ვენეციის კომისიის შუალედური რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდეს მისი პირველი მოსმენით მიღება „გარკვეული დათქმებით". მინაშვილის თქმით, რიგ ოპოზიციურ პარტიებთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მომზადებული ფორმულირებები ვენეციის კომისიაში აგვისტოს ბოლოს გაიგზავნა.

რაც შეეხება ახალი კოდექსის შინაარსობრივ მხარეს, ამ ეტაპზე მინაშვილმა მოსალოდნელ სიახლეებზე საუბარი არ ისურვა, თუმცა დაადასტურა, რომ მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, მასში რიგი ცვლილებები შედის.

მინაშვილის განცხადებით, ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტი უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. მმართველი პარტიის დეპუტატებმა 12 სექტემბრის ბიუროს სხდომაზე განაცხადეს, რომ საარჩევნო კანონმდებლობა პარლამენტში მომავალ ორშაბათს იქნება ინიცირებული. მინაშვილის თქმით,

ახალი საარჩევნო კოდექსი წლის ბოლოსთვის იქნება მიღებული. მან გამორიცხა, რომ მიღების თარიღი გადასცდეს ოქტომბრის ბოლოს ეს დრო, მმართველი ნაციონალური მოძრაობისა და რამდენიმე ოპოზიციური პარტიის შეთანხმებაში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების ბოლო ვადად იყო დასახელებული.



აკაკი მინაშვილი

ახალი საარჩევნო კოდექსი მიღების შემთხვევაში ჩაანაცვლებს 2001 წელს ამოქმედებულ შესაბამის კანონმდებლობას, რომელშიც მიღებიდან ამ დრომდე 46 ცვლილება და დამატება შეიტანა პარლამენტმა.

ახალი საარჩევნო კოდექსის მიღებისკენ საქართველოს ხელისუფლებას გასული წლის ივნისის თვეში მიაწოდა თავისი რეკომენდაციები, სადაც აღნიშნულია, რომ ახალი კოდექსის მიღება დებულებების სისტემატიზებას და გამარტივებას დაეხმარება და აღმოფხვრის კოდექსის სხვადასხვა მუხლებს შორის არსებულ ბუნდოვანებებს და შეუსაბამობებს.

ამ კოდექსში ასევე შეიძლება მოხდეს ეუთოს და ვენეციის კომისიის ძველდი და ახალი რეკომენდაციების გათვალისწინება. ეს ყველაზე კარგად მიიღწევა ყველა საარჩევნო სუბიექტთან ღია და გამჭვირვალე კონსულტაციების გზით, რისი მიზანიც ფართო კონსენსუსის მიღწევა უნდა იყოს. ვენეციის კომისიამ საარჩევნო კოდექსის შეფასება იმ ცვლილებების საფუძველზე გააკეთა, რომელიც 2009 წლის დეკემბერში და 2010 წლის მარტში იქნა მიღებული. კომისია ასევე აცხადებდა, რომ სერიოზული პროობლემები კვლავ რჩება, რადგანაც კოდექსის ტექსტი გაურკვეველია და ზოგიერთ საკითხზე სიცხადე აკლია. კომისიამ ასევე ურჩია საქართველოს შეცვალოს საარჩევნო კოდექსის ის დებულება, რომელიც მსჯავრდებულებს არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავს. „ხმის მიცემის უფლება ადამიანის ფუნდამენტალური უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ კონკრეტულად განსაზღვრული სერიოზული სისხლის სამართლებრივი დანაშაული უნდა გახდეს ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის საფუძველი" ვენეციის კომისია ასევე შეეხო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრობლემასაც და აცხადებს, რომ საჭიროა პარტიისა და სახელმწიფოს მკაფიო გამიჯვნა. საარჩევნო კოდექსი საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების უფლებას იძლევა, თუმცა მასში ნათქვამია, რომ რესურსები ყველა პარტიისა და კანდიდატისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. კომისიამ ასევე ურჩია საქართველოს შეამციროს „უკიდურესად ხანგრძლივი" საცხოვრებელი ცენზი ადგილობრივ არჩევნების კანდიდატებისთვის, რომელიც ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად, ორიდან ხუთ წლამდე გაიზარდა. იგი ასევე მოუწოდებს საქართველოს ამოიღოს კოდექსიდან ის დებულება, რომელიც საარჩევნო უბნებზე ვიდეოთვალის გამოყენების უფლებას იძლევა იმ მიზნით, რომ მოხდეს დარღვევების აღკვეთა და შემდეგ შესაძლო დარღვევებზე საჩივრების გადამოწმება.

2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ანალოგიური რეკომენდაციით გამოვიდა ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი. საარჩევნო რეფორმაზე მმართველ პარტიას და რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შორის მიღწეული შეთანხმების წამყვან საკითხს წარმოადგენს პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდა, რასაც კონსტიტუციური ცვლილების შეტანა სჭირდება. ამ შეთანხმების მიხედვით, 107 დეპუტატი პროპორციული წესით, ხოლო 83 ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. დღსდღეობით, პროპორციულსა და მაჟორიტარულს შორის შეფარდება 75-75-ზეა.

## ვიკილიქსი: „2008 წელს სააკაშვილს გეგა მგალობლიშვილისთვის ტელეფონი არ უსვრია"

სკანდალურად ცნობილი პორტალი „ვიკილიქსი" აქვეყნებს საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის მიერ 2009 წლის 16 იანვარს ვაშინგტონში გაგზავნილ კონფიდენციალურ წერილს, სადაც იგი იმ პერიოდში პრესაში, გავრცელებულ ინფორმაციაზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც სააკაშვილმა მაშინდელი პრემიერი გეგა მგალობლიშვილი უშვერი სიტყვებით გალანძღა და მობილური ტელეფონი ესროლა.

ელჩი წერს, რომ ამ ამბის გავრცელების პარალელურად მგალობლიშვილი ავად გახდა და სამკურნალოდ უცხოეთში გაემგზავრა, რამაც ზემოხსენებული ეჭვები სააკაშვილისა და მგალობლიშვილის დაპირისპირების შესახებ, კიდევ უფრო გაამყარა.

ელჩი დაინტერესდა ამ ინფორმაციით და მისი გადამოწმება სცადა.

— თბილისის მერმა და სააკაშვილის დიდი ხნის მეგობარმა, რომელიც ამ ამბავს ესწრებოდა, მითხრა, რომ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მისი თქმით, იგი სააკაშვილთან ერთად სახელმწიფო კანცელარიას ეწვია, გეგა მგალობლიშვილის კაბინეტში სააკაშვილს ვიღაცამ დაურეკა და ტელეფონზე საუბრის მომენტში პრეზიდენტმა ამ პიროვნებას (მასთან ტელეფონზე მოსაუბრეს) უყვირა. უგულავას ვარაუდით, პრეზიდენტის ხმა ალბათ კაბინეტის გარეთაც გაიგეს და მათ მოეჩვენათ, რომ სააკაშვილი სწორედ მგალობლიშვილს უყვიროდა. თბილისის მერის განცხადებით, ამ ისტორიის შემთხზველმა სააკაშვილის მიერ პრემიერისთვის ტელეფონის სროლის მომენტი იმიტომ გამოიგონა, რომ ამბავი უფრო მძაფრი გაეხადა, — წერს ტეფტი.

**მედიანიუსი**

## ინტერპოლის მიერ ძებნილი ქართველი საბერძნეთის პოლიციას ჩაბარდა

ინტერპოლის მიერ 2009 წლიდან ძებნილი ალუდა გასვიანი საბერძნეთის პოლიციას ჩაბარდა. ქართული ტელეარხების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქემ ცოლის მკვლელობა აღიარა.

ანაშაული სამი წლის წინ საფრანგეთში მოხდა. ფრანგმა სამართალდამცველებმა 25 წლის ინგა გასვიანის ცხედარს ტყეში მიაკვლიეს. იმ დროს ქმრის და 7 წლის ბავშვის ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა.

გამოძიება ვარაუდობდა, რომ ოჯახი ტრეფიკიორების შურისძიებას შეეწირა. შედგომში ვერსია შეიცვალა და ალუდა გასვიანი ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობაში მთავარ ბრალდებულად აღიარეს.

**ინტერპრესნიუსი**

## სანადირო ადგილების ჩამონათვალი კანონით განისაზღვრება

საქართველოში სანადირო ადგილების ჩამონათვალი კანონით განისაზღვრება. შესაბამისი ცვლილების შეტანა ტყის კოდექსში იგეგმება, რომლის ავტორები და ინიციატორები დეპუტატები: პავლე კუბლაშვილი, კახაბერ ანჯაფარიძე და ზვიად კუკავა არიან.

პროექტის თანახმად, კანონმდებლობით განისაზღვრება, რომ ნადირობა შეიძლება, განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე. ნადირობა დაშვებული იქნება ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ეროვნულ პარკში, აღკვეთილში, დაცულ ლანდშაფტსა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე; აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიასა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეში.

ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებულ ცხოველებს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი განსაზღვრავს. კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში საუბარი არაა იმაზე, თუ სად და რა დოკუმენტის საფუძველზე შეიძლება ნადირობა და ვინ გასცემს ამ დოკუმენტს.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილმა ფოთში ახალი სამაცივრე კომპლექსი გახსნა



მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ერთად გუშინ, ფოთში ახალი სამაცივრე კომპლექსი გახსნა.

პრეზიდენტმა ობიექტის გახსნას ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების კუთხით მნიშვნელოვანი უწოდა. მისივე თქმით, საწარმოო პოტენციალის გაზრდის პარალელურად დასაქმებულთა რიცხვიც უნდა გაიზარდოს.

სამაცივრე კომპლექსი ფირმა „აისბერგ ფოთი", ლარნაკას ქუჩაზე, საწარმოო რაიონში აშენდა და მასში 8 მილიონი ლარის კერძო ინვესტიცია ჩაიდო. ფირმა „აისბერგ ფოთის" სამაცივრე მოწყობილობა, შუა აზიისა და ევროპის ტვირთებს მოემსახურება, რომელიც ფოთის პორტის გავლით მოძრაობს. პორტიდან მაცივრის ტერმინალამდე, ტვირთების გადატანა შესაძლებელი იქნება როგორც ავტო, ისე სარკინიგზო ტრანსპორტით.

როგორც „აისბერგ ფოთის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, ამ ეტაპზე, დასაქმებულია 80 ადამიანი, მათ შორის 20 აფხაზეთიდან დევნილია, რომლებიც ფოთის „ახალ რაიონში" ჩაასახლეს. ობიექტის მშენებლობა 30 თებერვლიდან დაიწყო და ამ დროისთვის მთლიანი სიმძლავრის 30%-ით მუშაობს.

**ინტერპრესნიუსი**

# სომხეთ-საქართველოს საზღვრის დადგენაზე მუშაობა გრძელდება

ნათია ხურცილავა

### ინტერვიუ სომხეთში საქართველოს ელჩ თენგიზ შარმანაშვილთან



თენგიზ შარმანაშვილი

***— გარეგინ მეორე და საქართველოს პატრიარქი შეთანხმდნენ, რომ შეიქმნებოდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სადავო ეკლესიების დადგენაზე იმუშავებს. ასევე გაირკვეოდა სტატუსი, რა ხდება ამ მიმართულებით?***

— კონკორდატის საკითხებთან დაკავშირებით ბატონ ნიკა გილაურთან შეიქმნა საბჭო. სინოდის წევრები მუდმივ კონსულტაციას აწარმოებენ. შეიქმნება სპეციალური კომისია სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სტატუსთან დაკავშირებით. როდესაც ჩამოყალიბდება აზრი ამ ყველაფერზე, მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით ჩვენი საელჩოც ჩაერთვება ამ საკითხების გადაწყვეტაში. ჯერჯერობით საქართველოს მთავრობა და ეკლესია ამ თემებზე საუბრობენ.

***— რამე შედეგი თუ არის მიღწეული?***

— ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის. რადგან საბჭოები ახლა შეიქმნა. როგორც მე ვიცი, უახლოეს პერიოდში ბევრი შედეგი გვექნება. ყოველ შემთხვევაში, ორივე მხარე კმაყოფილია ამ თანამშრომლობით, მთავრობაც და ეკლესიაც.

***— ზოგადად როგორია საქართველო-სომხეთის ურთიერთობები, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი?***

— არასდროს, საქართველოს დამოუკიდებლობის მანძილზე ამ 20 წლის განმავლობაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა ასეთი მაღალი დონის არ ყოფილა. ასეთი ინტენსიური ურთიერთობები პრეზიდენტებს, პარლამენტებს, მთავარობის ცალკეულ წევრებს შორის არასოდეს არ ყოფილა. 6 თვეა, რაც ელჩი ვარ და შეიძლება ჩამოთვლაც კი გამიჭირდეს, რამდენი მინისტრის ვიზიტი შედგა ერევანსა და თბილისს შორის.

***— შედეგები თუ არის?***

— შედეგიანი ვიზიტებია, შეთანხმებებზე გავიდნენ.

***— თუმცა, არის საკითხები, რაზეც ვერ ვთანხმდებით, მაგალითად, საერთაშორისო დონეზე სომხეთის მხარდაჭერა არ გვაქვს, მაგალითად, გაეროს ასამბლეაზე. ამის ახსნა როგორია?***

— ორივე მხარეს არის საკითხები, რომელსაც ჩვენ ერთმანეთს ამ ეტაპზე მხარს ვერ დავუჭერთ. ორივე მხარეს ესმის, ეს რატომ ხდება. თუმცა, ეს არ გახდება ჩვენს შორის არასოდეს კონფრონტაციის მიზეზი. ჩვენ გვესმის, რა სიტუაციაში უწევს ამა თუ იმ ქვეყანას მოქმედება.

***— ხომ არ იგეგმება უახლოეს მომავალში მაღალი დონის ვიზიტი?***

— უახლოეს მომავალში სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი მზადდება. ასევე მზადდება ნოემბერში საქართველოს ეკონომიკის ვიზიტი.

***— სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტი ოფიციალური იქნება?***

— დიახ.

***— სომხეთის საზღვრის დემარკაცია-დემილიტაციის საკითხზე იქნება მოლაპარაკებები, როგორც ვრცელდება ინფორმაცია, სადახლოს ტერიტორიაზე 20 ჰექტარს გვედავებიან...***

— საზღვრის დადგენაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთ ქვეყანასთან, თურქეთთან არის საზღვარი დადგენილი. ეს საკითხი მხოლოდ სომხეთს არ ეხება, ეს დანარჩენ მეზობელ ქვეყნებსაც ეხება, საზღვრების დემარკაცია-დემილიტაციაზე მოლაპარაკების პროცესი გრძელდება.

# რუსეთის გარდა, არც ერთ მეზობელთან პრობლემები არ გვაქვს

ნათია ხურცილავა

22 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეა ოფიციალურად გაიხსნება. ქვეყნის ლიდერები სიტყვით მიმართავენ ასამბლეას. გაეროს ასამბლეაზე საქართველოს მთავარი ყურადღება საქართველოს პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლას დაეთმობა.

გაეროში საქართველოს წარმომადგენელი კახა ლომაია არ გამორიცხავს, რომ პრეზიდენტმა თავის მიმართვაში ახალი ინიციატივები გააჟღეროს. თუმცა, ელჩის განცხადებით მსგავსი გამოსვლები ძირითადად სამ კომპონენტზეა დამყარებული.

ამბასადორიალის დასკვნითი ნაწილი ელჩებს დაეთმოთ. მინისტრთა კაბინეტთან ორდღიანი მუშაობის შემდეგ, ელჩებმა იმ ქვეყნების განწყობები და არსებული ვითარების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლებას, სადაც ისინი არიან აკრედიტებული.

გრიგოლ ვაშაძემ დიპლომატიური კორპუსის წინაშე არსებული გამოწვევები კიდევ ერთხელ დაასახელა.

ძირითადი ამოცანა, მინისტრის განცხადებით, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ეკონომიკური პროცესის გაგრძელებაა, რომ ქვეყანამ დასახული მიზნისკენ შეუფერხებლად განაგრძოს სვლა.

— რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანა არის ჩვენ წინაშე: უსაფრთხოება და მშვიდობიანი გარემოს შექმნა საქართველოსთვის, იმისთვის,



გრიგოლ ვაშაძე

რომ გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმები და ეკონომიკური აღმშენებლობა, რეგიონული თანამშრომლობა. ვიყოთ იმისთანა გარემოში, სამეზობლოში, რომ არ გვქონდეს არავითარი პრობლემები. საბედნიეროდ, რუსეთის გარდა არც ერთ მეზობელთან პრობლემები არ გვაქვს. არის საკითხები, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. გავაგრძელოთ ჩვენი სვლა ნაბიჯ-ნაბიჯ, მოფიქრებულად და გააზრებულად ევროკავშირისკენ და ნატოსკენ. ასევე ყველანაირად ხელი შეუწყოთ საქართველოში უცხოური კომპანიებისა და ინვესტიციების მოზიდვას. — ასე შეაფასა სამუშაო დღეები საგარეო საქმეთა მინსიტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

ვაშაძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა უშუალოდ სააკაშვილისგან მიიღეს დავალებები.

— პრეზიდენტი ძირითადად კმაყოფილია დიპლომატიური სამსახურის მუშაობით, მაგრამ მისი თხოვნა იყო ყველა ჩვენი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელისთვის, რომ გაორმაგებული ძალებით იმუშაონ, რადგან დიდი გამოწვევები გვექნება გადასაწყვეტი. — ამბობს გრიგოლ ვაშაძე.

# კოტე ჟღენტი: „ვაშაძე ქართველი დიპლომატების მუშაობას უარყოფად ვერ შეაფასებდა“



კოტე ჟღენტი

**თბილისში დასრულებული მორიგი ამბასადორიალის შედეგებზე, საგარეო უწყებისა და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების მკვლევარს, ავსტრიასა და უნგრეთში საქართველოს ყოფილ ელჩს, კოტე ჟღენტს ესაუბრა.**

***— ბატონო კოტე, წლევანდელი ამბოსადორიალი დასრულდა. ამ თემაზე აღმატებულ ფორმებში ტელევიზიებით არა ერთმა ქართველმა დიპლომატმა ისაუბრა. საგარეო უწყების ხელმძღვანელმა გრიგოლ ვაშაძემ 2010-2011 წლებში სამინისტროს მუშაობა წარმატებულად შეაფასა. ვითარებაში, როცა საგარეო უწყების პრიორეტეტებად აღიარებულია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია, დემოკრატიული პროცესების განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანება და არც ერთი ამ მიმართულებით რაიმე ხელშესახები წარმატება მიღწეული არ არის, რამდენად უპრიანია საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის წარმატებულად შეფასება?***

— დიპლომატების გაკეთებული საქმე, ისევე როგორც სხვა პროფესიების ადამიანების, სხვამ უნდა შეაფასოს და არა — თვით გამკეთებელმა. მე არ ვაპირებ მათ კრიტიკას ვისაც, ჩემი აზრით, კოლეგად ვთვლი და ვინც ძალიან მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დარჩა საქართველოს დიპლომატიურ სამსახურში. მათზე კი, ვისაც მხოლოდ თვითონ გონია თავი დიპლომატი, საუბარს საერთოდ არ ვაპირებ, რადგან ამ შემთხვევაშიც ჯერ ადამიანი უნდა იყო შენი ადამიანობით, სინდის-ნამუსით და შემდეგ - სამინისტროს ან საელჩოს თანამშრომელი. ამჟამინდელ დიპლომატიურ სამსახურში არის ხალხი, ვისაც ლიად იმასაც კი ვერ ვაკადრებ, რომ გულწრფელად თანავუგრძნობ და არის უმეტესი მათგანი, ვინც მეცოდება.

თან, ამ სამსახურში რაც ხდება, მთლიანად მათი ბრალიც არ არის, რადგან როგორც წინა, ისევე და უფრო მეტად ამ ხელისუფლების პირობებში, არ სურდათ და არ სურთ საერთაშორისო სტანდარტების და მაღალი ხარისხის პროფესიული დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც თვალდახუჭული არ შეასრულებს ერთი ან რამდენიმე ადამიანის მიერ მიღებულ, სახელმწიფოსთვის საზიანო გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხება მინისტრის შეფასებას, ეს სხვანაირი ვერ იქნება, რადგან თუ სამსახური ცუდად ან შეცდოემებით მუშაობს, პირველ რიგში მისი ხელმძღვანელი უნდა დაისაჯოს ან საერთოდ შეიცვალოს.

სრულიად გეთანხმებით, რომ იმ პრიორიტეტებში, რომლებიც თქვენ ახსენეთ, არც ერთი მიმართულებით რაიმე ხელშესახები წარმატება მიღწეული არ არის, მაგრამ უეჭველია, რომ მათგან ორ საკითხში ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვაში, სწრაფი და შედეგიანი პროგრესის მიღწევაც კი შეიძლება, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობით რადგან მხოლოდ რეალური პროგრესი პირველ საკითხში განსაზღვრავს წარმატებას მეორეში, საჭიროა ჯერ პირველის, ოღონდ ვიმეორებ რეალურად განხორციელება, რასაც მეორის განხორციელებაც მოჰყვება.

რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციასა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებას, ჩემი აზრით და ჩემი აზრი ემთხვევა უცხოეთის პოლიტიკოსების და ექსპერტების 90%-ის აზრს, (ვისაც კითხვა შეუძლია დარწმუნდება), ხილულ მომავალში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ამაზე ვინ და რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს. მე ვგულისხმობ სრულ და რეალურ დეოკუპაციას და სრულ გაწევრიანებას და არა „ამ გზაზე სიარულს“ ან „ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას“, რაც ათეული წლების განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს.

ვერც ნატო-ს გენერალური მდივნის და ვერც საფრანგეთის პრეზიდენტის ვიზიტი, რეალურად, ვერანაირად ვერ დააჩქარებს ვერც ჩვენს ნატო-ში გაწევრიანებას და ვერც რუსეთის მიერ სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას. ისინი უფრო იმიტომ ჩამოდიან, ამგვარი რეალობის პირობებში „დიპლომატიური ვალი“ მოიხადონ და აჩვენონ, რომ საქართველო მთლად და სრულიად მარტო არ არის.

***— გასაგებია, რომ საგარეო უწყების ოთხივე პრიორიტეტის შეუსრულებლობა პრაქტიკულად ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ მიზნების მიღწევა ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, სავარაუდოდ, გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. რადგან თქვენ თავად პრიორიტეტების ჩამონათვალსაც ეჭვის ქვეშ აყენებთ, უპრიანია გკითხოთ - საქართველოს საგარეო უწყების პრიორიტეტებად თქვენ რას დაასახელებდით?***

— ჩემი აზრით, ჩვენი საგარეო უწყების საქმიანობის დღევანდელი პრიორიტეტი ნეგატიური სახის (ვინც მიჩვეულია, „იმიჯი“ იხმაროს) აღმოფხვრაზე მუშაობა და ჩვენი ქვეყნისადმი ნდობის აღდგენაა. ამ მხრივ საზღვარგარეთ საქართველოს პრობლემები შეექმნა განსაკუთრებით 2008 წლის ომის შემდეგ, რაც იმავე უცხოელი პოლიტიკოსების და ექსპერტების დიდი უმრავლესობის აზრით, არაპროგნოზირებადმა და დაუფიქრებელმა პოლიტიკურმა ნაბიჯებმა გამოიწვია.

დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის მიზანი სწორედ ამ მდგომარეობის გამოსწორება უნდა იყოს, რასაც ზურგს უნდა უმაგრებდეს, არა „პიარული“, არამედ რეალური საშიანაო რეფორმები დემოკრატიის განმტკიცების თვალსაზრისით. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს მხოლოდ მაშინ, როდესაც წამყვანი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს არა „ნახევრად-დემოკრატიულ“, არამედ დემოკრატიულ ქვეყანად მოიხსენიებენ.

***— რამდენად რეალურად და რა პერიოდში გეჩვენებათ ეს მიზნები განხორციელებადი?***

— ვიმეორებ, რეალური დემოკრატიული ცვლილებების დაწყება საკმაოდ სწრაფად შეიძლება და როგორც კი უცხოეთი დაინახავს, რომ მაგალითად მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები რეალურად დემოკრატიულად ჩატარდა, და ქვეყანაში ხელისუფლების დემოკრატიული ცვლა მოხდა, ინვესტიციების მოზიდვის და ჩვენი სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების გააქტიურების პროცესი მაშინვე დაიწყება. დაჩქარდება სხვა, ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური პროცესებიც, მაგრამ მათ განხორციელებას ჩვენს „რეალურად რეფორმირებულ“ ქვეყანაზე ხანგრძლივი დაკვირვება და სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელი პირობების შესრულებაც სჭირდება.

***— კარგა ხანია, ცნობილია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის საკითხებში თბილისი ბრიუსელის რეკომენდაციებს არ ასრულებს, მაგრამ წლევანდელ „ამბასადორიალზე,“ საქართველოს მეგობარი, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის აუდრონიუს აჟუბალისის განცხადება - „საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება ნათელს გახდის რომელ მხარეს დგას საქართველო, სინგაპურის, თუ ბრიუსელის“ — აშკარად მოულოდნელი იყო. გნებავთ, დიპლომატიურ ენაზე და გნებავთ, ისედაც, რას შეიძლება ნიშნავდეს ლიტველი მინისტრის ეს განცხადება?***

— ლიტველი მინისტრის ეს განცხადება, ჩემი აზრით, ნიშნავს ერთ რამეს - საქართველომ როგორც სამთავრობო, ისე საპარლამენტო დონეზე თავი უნდა დაანებოს ისეთ განცხადებებს და პოლიტიკას, რომლის საფუძველი ევროკავშირის მოთხოვნების „ნაწილობრივ შესრულებაა“. ჩვენ ხშირად მოგვისმენია მმართველი გუნდის წევრებისაგან, რომ „ევროკავშირის მოთხოვნებში, რასაც ვეთანხმებით, შევასრულებთ და რასაც არა - (იმიტომ რომ თურმე ისინი „არ ითვალისწინებენ ქვეყნის სპეციფიკას“) არა„. არ შეასრულებ და ევროკავშირშიც „ნაწილობრივ მიგიღებენ“. ეს ხუმრობით, ისე კი, ევროკავშირის მოთხოვნების შესრულება ისევ ჩვენს ქვეყანაში რეალური დემოკრატიის აშენებას შეუწყობს ხელს, თორემ არა მგონია, განსაკუთრებით ბოლო წლების ეკონომიკური და ფინანსური კრიზისების გათვალისწინებით (საბრძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, შესაძლებელია იტალია, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ქვეყნებზე, როგორიც ბულგარეთი და რუმინეთია), ევროკავშირმა თავის რიგებში კიდევ ვინმეს მიღებაზე მიიღოს გადაწყვეტილება.

ზედმეტია ლაპარაკი უახლოესი 5-10 წლის პერიოდში ჩვენს ქვეყანასთან ევროკავშირის მხრიდან უვიზო მიმოსვლის ან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებაზეც. ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დაწყებას წარმატებად ვერ გაასაღებ.

***— საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ „2012 წელი ქართული დიპლომატიისთვის ძალიან მძიმე იქნება“. თქვენი აზრით, რა სიძნელეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული 2012 წელი დიპლომატიური თვალსაზრისით?***

— ნამდვილად ვერ გეტყვით, რა სიძნელეებს გულისხმობს მინისტრი, მაგრამ ჩემი აზრით, ქართველი დიპლომატებისთვის ძნელი იქნება საქართველოსადმი ნდობის აღდგენაზე და „იმიჯის“ გამოსწორებაზე მუშაობა იმ შემთხვევაში, თუ მათი ცდები არ იქნება გამყარებული საშინაო პოლიტიკაში გადადგმული ნაბიჯებით, ქვეყანაში რეალური დემოკრატიის შექმნის მიმართულებით და ქვეყნის ხელმძღვანელები განაგრძობენ შეურაცხმყოფელ, არადიპლომატიურ განცხადებებს უცხოელი (თუნდაც მტრულად განწყობილი) ლიდერების მისამართით.

**ინტერპრესნიუსი**

# კალმახელიძემ ახალი რეფორმის პროექტის პრეზენტაცია გამართა


ხათუნა კალმახელიძე

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ საზოგადოებას ახალი რეფორმის პროექტი წარუდგინა.

რეფორმის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ნათესავების, უფლებების დამცველთა და ნებისმიერი დაინტერესებული პირის მომსახურების ხარისხი იცვლება.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, რეფორმა პენიტენციურ დაწესებულებებთან „საზოგადოებრივი მისაღების“ შექმნას გულისხმობს, სადაც ყველა მოქალაქე სხვადასხვა სახის, მაღალი ხარისხის, სწრაფ და სრულფასოვან მომსახურებას კომფორტულ გარემოში მიიღებს.

მომსვლელ პირებს მაღალკვალიფიციური საზოგადოებრივი კონსულტანტები მოემსახურებიან.

გამარტივდება პროცედურული საკითხები. ვიზიტორებისთვის გათვალისწინებულია: პაემნის, ამანათის გადაცემის და განცხადების ჩაბარების სერვისი.

იარსებებს ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციების სისტემა ინფორმაციაზე მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

დამატებითი სერვისის სახით კი საბანკო მომსახურება, უფასო ინტერნეტი, საბავშვო კუთხე და საინფორმაციო დაფაა გათვალისწინებული.

**მედიანიუსი**

# მამობის დადგენისას დნმ-ის ანალიზი სავალდებულო გახდება


რუსუდან კერვალიშვილი

დაუქორწინებელი მშობლების შვილისთვის მამობის დადგენისას, ბიოლოგიური და ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევების ჩატარება სავალდებულო გახდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილები „სამოქალაქო კოდექსში“ იგეგმება.

კანონპროექტით და მოქმედი ნორმითაც, მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის შემთხვევაში, მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი. ბავშვის სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ კი ბავშვის მამობის დადგენის თაობაზე განცხადების წარდგენის უფლებამოსილება, მხოლოდ მას ექნება.

ასევე, კანონის მოქმედი რედაქციით, მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

კანონპროექტით კი დგინდება, რომ მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური ხასიათის გამოკვლევების შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს შეეხება.

ხოლო, თუ ე.წ. დნმ-ის ანალიზით მამობის დადგენა ვერ ხერხდება, სასამართლო მხედველობაში მიიღებს ბავშვის დედისა და მამობის დადგენის თაობაზე განმცხადებელი პირის ერთად ცხოვრებისა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ანXდა მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის და რჩენის ფაქტებს და ა.შ.

კანონპროექტის ავტორი არასამთავრობო ორგანიზაცია “ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელია“, ინიციატორი კი - დეპუტატი რუსუდან კერვალიშვილი. კანონპროექტი პარლამენტში უკვე შევიდა.

ამასთან, გუშინ „ქორთიარდ მარიოტში“ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლების კონფერენცია გაიმართა, სადაც ამ საკითხებზე იმსჯელეს.

კანონპროექტის ინიციატორები განმარტავენ, რომ ახალი კანონი ბავშვთა უფლებების დაცვასა და მშობლების პასუხისმგებლობის თანაბარ გადანაწილებას შეუწყობს ხელს. ანალიზის ჩატარება 2 000 ლარამდე ჯდება, რომელსაც სასამართლო დავის შედეგად წაგებული მხარე დაფარავს.

ამასთან, კონფერენციაზე ცნობილი გახდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2000-2009 წლებში, საშუალოდ, ყოველწლიურად 2100-დან 3900-მდე ჩვილი გაჰყავდათ სამშობიაროდან მხოლოდ დედის განცხადების საფუძველზე. კონფერენციაზე სწორედ იმაზე მსჯელობენ, რა მოვალეობები აკისრია არარეგისტრირებული ქორწინებიდან დაბადებულ ბავშვის მამას და თანაბრად ნაწილდება თუ არა პასუხისმგებლობა.

პროექტის მიზნებად სახელდება სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა ქალთა უფლებებისა და დემოკრატიული უფლებების განვითარებაში, ასევე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა, იმ კრიმანულირ შემთხვევების შესწავლა, როდესაც ქალებმა დახოცეს პარტნიორული ურთიერთობის შედეგად დაბადებული საკუთარი შვილები, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შემუშავება, რომელიც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მშობლებს დააკისრებს თანაბარ ვალდებულებს ახალშობილის წინაშე.

**ინტერპრესნიუსი**

# რა პრეტენზიები აქვთ დევნილებს ცისკარიშვილთან

ნანა მიშელაშვილი

**ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ პარლამენტში დევნილთა მინისტრ კობა სუბელიანს იბარებს. მანამდე კი ამ ფრაქციის წევრი ჯონდი ბაღათურია ანტიკრიზისული საბჭოს სხდომის მოწვევას მოითხოვს, სადაც სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებულთა საკითხი იქნება განხილული.**


პეტრე ცისკარიშვილი

გუშინ ოპოზიციური ფრაქცია პარლამენტში სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსახლებულ 14 ოჯახის წარმომადგენელს შეხვდა. სამაჩაბლოდან დევნილები, რომლებიც ამ სასტუმროში 22 წელია ცხოვრობენ, აცხადებენ, რომ ისინი აღშფოთებული არიან პეტრე ცისკარიშვილის განცხადებით.

უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ დევნილებმა თავად მიმართეს ხელისუფლებას, რომ სასტუმრო „აფხაზეთის“ დამწვარი შენობიდან ნორმალურ პირობებში გაეყვანათ. არადა, გუშინ ოპოზიციურ ფრაქციაში მისული დევნილები საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

ოპოზიციურ ფრაქციაში მისული დევნილები იმასაც ამბობდნენ, რომ სასტუმრო „აფხაზეთში“ მხოლოდ 5-10 ოჯახი თუ იყო, ვინც წასვლას ითხოვდა და ამ ოჯახის წევრები სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობდნენ და კარგადაც დაკმაყოფილდნენ. მათივე თქმით, ეს 5-10 ოჯახი თესავდა დევნილებში პანიკას და ეუბნებოდნენ, რომ დროზე უნდა დაეცალათ სასტუმრო.

სამაჩაბლოდან დევნილების განმარტებით, 5 აგვისტოს ისინი გააფრთხილეს, რომ 10 დღის ვადაში უნდა დაეცალათ სასტუმრო, რადგან სასტუმრო საჯარო აუქციონზე იყო გაყიდული.

— ზაფხულის ცხელი დღეები ნამდვილად შეიძლება შედარდეს იმ ბნელ ღამეს, როდესაც ხელისუფლებამ ისარგებლა მოსახლეობის პოლიტიკური პასიურობით და დევნილებზე თავდასხმა მოახდინა. 15 აგვისტოს, ისე, რომ არც ერთი დღე არ გადააცილა ხელისუფლებამ, ეს ადამიანები გამოასახლა, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატის შეფასებით, არსებობს კანონი დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, რომლის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, დევნილთა სამინისტრო ვალდებული იყო პირველ რიგში ადეკვატური ფართი შეეთავაზებინა დევნილებისთვის, მეორე მხრივ, აღნიშნულ ფართში შესვლის შესახებ თანხმობა წერილობითი უნდა ყოფილიყო.

— ეს ნიშნავს იმას, რომ დევნილებისთვის უნდა შეეთავაზებინათ პირობები თუ სად მიდიან, მათი უფლებები განემარტათ და არა ისე ინკოგნიტოდ, პარტიზანულად, როდესაც არაიურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი გადაეცათ, რომ 10 დღის ვადაში უნდა დაეცალათ შენობა. დევნილები გამოყარეს იმ ვანდალური მეთოდების გამოყენებით, რასაც ხელისუფლება მიმართავს, — აღნიშნავს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ფრაქციის წევრებთან შეხვედრისას დევნილები აცხადებენ, რომ ერთი ოჯახი თანახმაა 10 ათასი დოლარის აღებაზე, ოღონდ არ უნდა მოხდეს რამდენიმე ოჯახის ხელოვნურად გაერთიანება. დევნილები ამტკიცებენ, რომ ხელოვნურად გააერთიანეს ორი და სამი ოჯახი და მათ მხოლოდ 10 ათასი დოლარი მისცეს.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ინვესტორმა ლევან კალმახელიძემ საინვესტიციო თანხა გადაიხადა სწორედ 306 ოთახის არსებობის გათვალისწინებით. ეს ინფორმაცია როდესაც ცნობილი გახდა დევნილებისთვის, გაჩნდა ლეგიტიმური პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ თანხები უნდა გაცემულიყო დაკავებული ოთახების რაოდენობის მიხედვით და არა ეკლექტური გაერთიანების მიხედვით, როდესაც ხელისუფლებამ ორი-სამი-ოთხი ოჯახი ერთ ოჯახად გააერთიანა. ამ 22 წლის მანძილზე ოჯახების ბუნებრივი დაყოფა მოხდა, მეოთხე თაობა მოდის, მეოთხე თაობის წარმომადგენლები გაერთიანებული არიან პირველი თაობის წარმომადგენლებთან, ერთ ოჯახად არის წარმოდგენილი და მათზე არის გათვალისწინებული 10 ათასი დოლარი. ეს არის მინიმუმზე თანხმობა, რომ შვილები შიმშილით არ დაეხოცონ, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ფრაქციის წევრები ჯერ ანტიკრიზისული საბჭოსთვის მიმართვას აპირებენ, რათა მათ დევნილთა მინისტრი მოიწვიონ, შემდეგ კი ფრაქციის სხდომას გამართავენ.

— ანტიკრიზისული საბჭო, რა თქმა უნდა, არ წავა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენ ვაპირებთ ფრაქციაზე მოვიწვიოთ დევნილები, მინისტრი სუბელიანი და შევეცდებით დევნილთა სამართლებრივი საკითხი მსჯელობის საგანი გავხადოთ, - აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დევნილმა ივანე ფეხშველაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ცხინვალიდან თბილისში პირველი არეულობის დროს წამოვიდა და 22 წელია, რაც თბილისში ცხოვრობს. ფეხშველაშვილი ამბობს, რომ მისი შვილები დაიზარდნენ და უკვე საკუთარი ოჯახები აქვთ, სულ 12 სულია.

— სასტუმროში 2 ოთახში ვცხოვრობდით, მაგრამ რომ ველარ ვეტეოდით, მე ჩემს მეუღლესთან და ერთ შვილთან ერთად გავედით ცალკე. ნათესავებიც დამეხმარნენ და შევძელი, რომ ბინა მეყიდა და ახლა ჩვენ გლდანში ვცხოვრობთ. ახლა კი იძულებულნი გავხდით და 12 ადამიანი ამ ბინაში ვცხოვრობთ. სახელმწიფომ მომცა 10 ათასი დოლარი, თანაც მითხრეს, რომ ამ ფულს აიღებ, აიღებ, არ აიღებ და ინანებ, სულ დაკარგავ და პრობლემებიც გექნებაო. ამ ფულით რა უნდა ვიყიდოთ? ახლა ვითხოვ, რომ ან კიდევ მომცენ ფული ისე, რომ რაიმე სახლის ყიდვა შევძლო, ან მომცენ ფართი, — აღნიშნა დევნილმა ივანე ფეხშველაშვილმა.

# მცხეთა-მთიანეთის რეგიონის წარჩინებული მოსწავლეები მედლებით დაჯილდოვდნენ


ირინე ქურდაძე


ცეზარ ჩოჩელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ირინე ქურდაძემ და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ცეზარ ჩოჩელმა „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცეს.

2010-2011 წლისათვის მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 10 ოქროსა და 17 ვერცხლის მედალოსანია.

მედლების გადაცემა წეროვანის 3 საჯარო სკოლაში განხორციელდა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სულ 85 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. ბევრ მათგანს წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. მოხდა სკოლების სახურავების შეკეთება და განახლება, გამოიცვალა კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა თანამედროვე გათბობის სისტემები. სკოლები აღიჭურვა ახალი მერხებითა და დაფებით.

წელს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სკოლებს სულ 1015 პირველკლასელი შეემატება, რომლებსაც ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მათთვის განკუთვნილ ბუკებს გადასცემს.

**მედიანიუსი**

# გურიის სამხარეო მთავარ სამმართველოს ახალი უფროსი ჰყავს


დავით ცირეკიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის მთავარი სამხარეო სამმართველოს უფროსად დავით ცირეკიძე დაინიშნა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი გურიიდან იუწყება.

დავით ცირეკიძე ჯერ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უფროსი იყო, ბოლოს კი ქუთაისის საქალაქო სამმართველოს უფროსად მუშაობდა. უკვე ყოფილი უფროსი გიგა ჯაფარიძე სამსახურიდან რამდენიმე დღეა, დაითხოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

# „ფრანი“ სვანეთში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

15 სექტემბერს სვანეთში ახალგაზრდებისთვის განსაკუთრებით საყვარელი ჯგუფის „ფრანის“ კონცერტი გაიმართება. ღონისძიების ორგანიზატორი კომპანია „ბილაინია“. კონცერტი დაფარვის ზონის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ეწყობა. ამ მხრივ ბილაინმა ჯგუფი „ფრანი“ მეტროში უკვე ჩაიყვანა, ამჯერად კი სვანეთში აიყვანს.



„ფრანამდე“ სვანეთს ჯგუფი „მგზავრები“ სტუმრობდა. მათ ღია ცის ქვეშ შეკრებილი მსმენელისთვის ძველი და ახალი ჰიტები შეასრულეს. ფრანი წელს იუბილარია, იგი დაარსებიდან 5 წლის თავს ზეიმობს. ნოემბრის თვეში კი საიუბილეო გრანდიოზულ კონცერტს ჯგუფი დიდ საკონცერტო დარბაზში გამართავს.

რაც შეეხება „ფრანს“, მათი კონცერტი მესტიის განახლებულ მოედანზე გაიმართება. ღონისძიებაზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის უფასო იქნება და მასზე ფრანი განახლებული პროგრამით წარდგება.

— ჩვენ შევასრულეთ პირობა, რომელიც წლის დასაწყისში მივეცით ჩვენს მომხმარებლებს და სვანეთშიც გავმართეთ ქსელი. როგორც ცნობილია, „ბილაინის“ ძირითად ამოცანას დაფარვის ზონის გაფართოება წარმოადგენს, კომპანიას დასახული აქვს, რომ 2011 წლის ბოლოს, დაფარვის ზონა მაქსიმალურად მიუახლოვდეს სრულყოფილს. ქვეყნის ტურისტული მიმართულებების განსაკუთრებით გააქტიურების პარალელურად, „ბილაინი“ ცდილობს, რომ საუკეთესო ხარისხის დაფარვის ზონა შესთავაზოს აბონენტებს, იქ, სადაც ტურისტული ნაკადი განსაკუთრებით გაიზარდა. უკვე რამდენიმე თვეა, „ბილაინი“ აქტიურად აფართოებს დაფარვის არეალს. კომპანიის ქსელით სარგებლობა სრულყოფილად შესაძლებელია დიდ ქალაქებში და ქვეყნის ძირითად ტრასებზე, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა შედარებით რთულად ასათვისებელ, მთიან რეგიონებზეც, — აცხადებს „ბილაინის“ გენერალური დირექტორი ანდრეი პიატახინი.

„ფრანის“ კონცერტს დაესწრება ბილაინის აქციის გამარჯვებული, 3 მეგობართან ერთად, რომელმაც 2 კვირის განმავლობაში, ყველაზე მეტი ადამიანი გადმოაპორტირა „ბილაინის“ ქსელში. გარდა კონცერტისა, „ბილაინი“ ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მოსწავლეებს გადასცემს სასკოლო ინვენტარს და სხვადასხვა პრიზებს გაათამაშებს.

# „დონ ჟუანი“ ზესტაფონშია

ეკა ირემაშვილი

უშანგი ჩხეიძის სახელობის ზესტაფონის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 15, 16, 17 სექტემბერს პრემიერაა. თეატრის მოყვარული საზოგადოებისთვის გათამაშდება სპექტაკლის „ოპუსი — 115“, რომელიც მოლიერის „დონ ჟუანისა“ და „ტარტიუფის“ მიხედვით დაიდგა. სპექტაკლის რეჟისორია ალექსი ჯაყელი, რომელიც წლებია საფრანგეთში ცხოვრობს და ქალაქ ლა ბოლში მის მიერვე დაარსებულ თეატრალურ კომპანია „პრესტო□ანდანტეს“ წარმატებით ხელმძღვანელობს.



ზესტაფონის თეატრთან თანამშრომლობის ფარგლებში, რეჟისორი ალექსი ჯაყელი კიდევ ოთხ ახალ სპექტაკლს — „ოპუსი — 115“, „უტოპსია“, „ბუმერანგი“, „ისევ ზღაპარი“ განახორციელებს. საქართველოში განხორციელებული პრემიერების პარალელურად, მაყურებელს, ოქტომბრის ბოლოს, ალექსი ჯაყელის მიერ საფრანგეთში, უილიამ შექსპირის „მაკბეტის“ მიხედვით გაცოცხლებული „მინდა!!!“-ს ნახვის საშუალებაც მიეცემა.

რეჟისორი ალექსი ჯაყელი პარიზში დაიბადა, თუმცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მიენიჭა დრამის რეჟისორის კვალიფიკაცია. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის მიერ გამოცხადებულმა კონკურსის ჟიურიმ კი იგი წლის საუკეთესო რეჟისორად აღიარა. მუშაობდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში მთავარი რეჟისორის თანამდებობაზე. გასულ წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საფრანგეთში, პარიზში ნანტერის უნივერსიტეტში და მოენიჭა დოქტორის ხარისხი. გადაღებულია რამდენიმე ფილმში ნანა ჯორჯაძესთან, ელდარ შენგელაიასთან და სხვა ქართველ რეჟისორებთან ერთად. დადგმული აქვს 114 სპექტაკლი, აქედან 5 ოპერა ტულუზისა და ბორდოს საოპერო თეატრებში. ამჟამად არის საფრანგეთის მოქალაქე და მოღვაწეობს საფრანგეთში, ქალაქ ლა-ბოლში, სადაც აქვს საკუთარი თეატრალური კომპანია „პრესტო ანდანტე“.

სპექტაკლის „ოპუსი — 115“ ქორეოგრაფი, მხატვარი და მუსიკალური გამფორმებელი თავად რეჟისორი ალექსი ჯაყელია, სპექტაკლში მონაწილეობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული მსახიობები — გვანცა დადიანიძე, სალომე წურწუმია, თაკო აბაშიძე, ზურა აბესაძე, ვახო ჩაჩანიძე, თემურ კიკნაველიძე, ბადრი ტაბატაძე, თემურ ქველიაშვილი. სპექტაკლი ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია თეატრალური კომპანია „პრესტო ანდანტე“.

ალექსი ჯაყელის ზესტაფონის თეატრში მიწვევა და ამ პროექტის განხორციელება ზესტაფონის თეატრის ხელმძღვანელებმა ხათუნა ასათიანმა (მმართველი) და მამუკა ცეცხლაძემ (სამხატვრო ხელმძღვანელი) მოიწადინეს.

— ეს ახალი ინიციატივა ქალაქის ერთადერთი კულტურული კერის გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს. ამით ქართველ მაყურებელს საშუალება ეძლევა გაეცნოს საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ხელოვანის გამოცდილებას და ზესტაფონის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობებს, — ნათქვამია ზესტაფონის თეატრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ზესტაფონის თეატრი თავის ერთგულ მაყურებელს ახალი სეზონის ფარგლებში კიდევ არაერთ სიახლეს შესთავაზებს, უახლოესი ორი თვე კი პრემიერებით იქნება დატვირთული.

# ტონინო გუერა ბათუმში ჩავა

ეკა ირემაშვილი

ბათუმში გამართულ რიგით მეექვსე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი წელს საკმაოდ გამორჩეული და საინტერესო ფილმებით დატვირთული იქნება. კინოფესტივალის საპატიო სტუმარი კი იტალიელი მწერალი, სცენარისტი და პოეტი ტონინო გუერაა, რომელიც ფესტივალის სხვა სტუმრებთან ერთად ფილმებს სრულმეტრაჟიანი, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი კატეგორიების მიხედვით შეაფასებს. წელს ფესტივალში 25 ქვეყნის 90 ფილმია წარმოდგენილი. ფილმების ჩვენება ბათუმის დრამატულ თეატრსა და კინოთეატრ „აპოლოში“ გაიმართება. სეანსებზე დასწრება კინომოყვარულებს თავისუფლად შეეძლებათ.

საავტორო ფილმების ფესტივალზე ცნობილი რეჟისორების ფილმებთან ერთად ახალბედა მსახიობთა ნამუშევრებიც შეფასდება. ბათუმში განსაკუთრებულად ელიან ტონინო გუერას, რომელიც ფელინის, ვისკონტისა და სხვა დიდი კინო რეჟისორების ნამუშევრების სცენარების ავტორიაა. არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატ იტალიელ ხელოვანს მსოფლიო კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოშიც დააჯილდოვებენ. ტონინო გუერასთან ერთად დაჯილდოვდება ირანელი რეჟისორი დარიუშ მეჰრჯუი, საქართველოდან კი რეჟისორი ალექსანდრე რეხვიაშვილი დაჯილდოვდება. სამივე შემოქმედის ფილმები კინოფესტივალის საგანგებო სექციაში იქნება წარმოდგენილი.

ტონინო გუერას გარდა, ბათუმის კინოფესტივალზე დიდი ინტერესით უცდიან ლარს ფონ ტრიერის „მელანქოლიასაც“. მთლიანობაში კინოფესტივალზე 50 სრულმეტრაჟიანი და 45 მოკლემეტრაჟიანი ფილმი იქნება წარმოდგენილი.

ბათუმის საავტორო ფილმების კინოფესტივალი 17 სექტემბერს გაიხსნება ვუდი ალენის წლევანდელი ნამუშევრით „შუაღამე პარიზში“. მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალზე დასწრება თავისუფალია, ღონისძიების ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, მოსაწვევები მხოლოდ ფესტივალის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებზე იქნება სავალდებულო. ბათუმის საავტორო კინოს ფესტივალის ორგანიზატორი ბათუმის ხელოვანთა სახლი „არგანია“, ოფიციალური პარტნიორები კი — ბათუმის მერია, საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, პოლონეთის ფილმების ინსტიტუტი, გოეთეს ინსტიტუტი, ბრიტანეთის საბჭო.

კინოჩვენებების გარდა, ნებისმიერ მსურველს ფესტივალის ორგანიზატორები საშუალებას აძლევენ თავისუფლად დაესწრონ პრესკონფერენციებს და გაესაუბრონ კინოფესტივალის ჟიურის წევრებს და სტუმრებს.

ბათუმის კინოფესტივალზე საკმაოდ ბევრი მაყურებელი ესწრება რესტროსპექტივებსაც. მას საკონკურსო პროგრამაზე არანაკლები მაყურებელი ესწრება. დიდია ინტერესი ჟიურის წევრთა ფილმების, „ოსტატთა კოლექციებისა“ და „აბრეშუმის გზის ქვეყნების კინოს“ სექციაში წარმოდგენილ ფილმებთან დაკავშირებითაც. წლევანდელი საფესტივალო პროგრამა მართლაც შთამბეჭდავია. ბათუმში ჩასული კინომოყვარულები შეძლებენ ნახონ ფედერიკო ფელინის „ამარკორდი“, ალექსანდრე რეხვიაშვილის „გზა შინისაკენ“ და დარიუშ მეჰრჯუის „ლეილა“.

კინოფესტივალის გამარჯვებულებს ბათუმში 24 სექტემბერს გამოავლენენ. ბათუმის საავტორო კინოს მეექვსე ფესტივალი ფინელი რეჟისორის აკი კაურისმაკის 2011 წლის ფილმით „ჰარვი“ დაიხურება.



## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)




## განცხადებები

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა (ალები, ნევროზი, შიშები, უძილობა) ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე დაინფიცირებისგან. სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება), მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 234-02-38; 599-964-494 ექიმი სალომე.

● მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და სახელმწიფო გამოცდებისთვის ყველა საგანში, თითო საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

# მილანმა პირველ და ბოლო წუთზე ივარგა

**დაიწყო ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი და საფეხბურთო სამყაროც გრ ელი და და აბული მარათონის მოლოდინში გაინაბა.**

### ბარსელონა-მილანი 2:2

*0:1 პატო (1), 1:1 პედრო (36), 2:1 ვილია (50), 2:1 სილვა (90)*

ჩემპიონთა ლიგის სტარტზევე, ცენტრალური მატჩში ერთმანეთს ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონები დაუპირისპირდნენ, მოლოდინისამებრ საინტერესო გამოდგა. თუმცა, მხოლოდ შედეგის მხრივ — მატჩის პირველი და ბოლო წამები „მილანისა" იყო, დანარჩენი დროის განმავლობაში კი უპირატესობას „ბარსელონა" ფლობდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა სასურველ მიზანს მაინც ვერ მიაღწია და ახალი გათამაშება საკუთარ კედლებში ქულების დაკარგვით დაიწყო.

შეხვედრას გუნდები შესუსტებული შემადგენლობით შეხვდნენ. მასპინძლებს ორივე ცენტრალური მცველი, პიკე და პუიოლი აკლდათ, სტუმრებს კი შემტევი დუეტის, იბრაჰიმოვიჩი-რობინიოს გარეშე უწევდათ თამაში.

უკვე პირველივე წუთზე პატომ ერთი მოძრაობით მასკერანო და ბუსკეტსი უკან მოიტოვა, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მიმდინარე ჯგუფური ეტაპის პირველი გოლი გაიტანა.

გაშვებული ბურთის შემდეგ უპირატესობას „ბარსელონა" დაეუფლა, მაგრამ მათ პატოს რამდენიმე სახიფათო გარღვევა კვლავ გაეპარათ, თუმცა ბრაზილიელის აქტიურობამ შედეგი მეტჯერ ველარ მოიტანა. სანამ ანგარიში გათანაბრდებოდა, ვილიასა და მესის მიეცათ გოლის გატანის თითო შანსი. ესპანელმა ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა, ხოლო არგენტინელის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი აბიატის კარის ძელს მოხვდა.

ანგარიში 36-ე წუთზე გათანაბრდა — მესიმ ბურთი საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო, რამდენიმე მეტოქეს დაუსხლტდა, შემდეგ პასი კარის გასწვრივ გააკეთა და პედროს ცარიელი გაატანინა.

მე-2 ნახევარი ვილიას ბრწყინვალე გოლით დაიწყო — თამაშის განახლებიდან ხუთ წუთში, საჯარიმო დარტყმა „ბარსას" შვიდიანმა დიდებულად შეასრულა 2:1. შეხვედრის დარჩენილ დროშიც უპირატესობას კატალონიელები ფლობდნენ. მართალია, დაცვაში მწყობრად თამაშობდნენ, მაგრამ რატომღაც შეტევისთვის თავს არ იკლავდნენ და დაისაჯნენ. მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე, ზეედორფმა კუთხური მოაწოდა, რასაც ტიაგო სილვას თავით კარგად თამაში და საყაიმო შედეგი მოჰყვა.

### პლზენი-ბატე 1:1

*1:0 ბაკოსი (45), 1:1 ბრესანი (68)*

ამავე ჯგუფის მეორე მატჩში ურთიერთობას აუტსაიდერები არკვევდნენ და უნდა ითქვას, ბელორუსულმა გუნდმა პირველი ანბიჯი გადადგა მესამე ადგილის დასაკავებლად, რაც შემდეგში ევროპის ლიგაზე გადართვის უფლებას იძლევა.

მართალია, თავდაპირველად ჩეხები დაწინაურდნენ, მაგრამ ბრესანმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და ბატე შინ ქულით გაბრუნდა.

### დორტმუნდი-არსენალი 1:1

*0:1 ვან პერსი (42), 1:1 პერისიჩი (88)*

ეს მატჩიც დიდ ინტერესს იწვევდა. იმის მიუხედავად, რომ ლონდონის არსენალი მნიშვნელოვნად შესუსტდა, დორტმუნდში, ადგილობრივ გუნდთან მთელი მე-2 ტაიმის განმავლობაში იგებდა, მაგრამ გერმანელებმა ქულის გადარჩენა მაინც მოახერხეს.მატჩში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ პირველი გოლი მაინც მათ კარში გავიდა. 42-ე წუთზე, უოლკოტმა ვან პერსის კარგი პასი გაუკეთა და მეკარესთან პირისპირ გასულმა შემტევმა ლონდონელები დააწინაურა. დორტმუნდელებს ქულა 88-ე წუთზე გადაარჩინეს — სტუმართა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ლონდონელებმა მოიგერიეს, მაგრამ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა პერისიჩმა იგი ერთი შეხებით, მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა მეკარისგან შორეულ ზედა კუთხეში და ულამაზესი გოლი გაიტანა.

### ოლიმპიაკოსი-მარსელი 0:1

*0:1 ლუჩო გონსალესი (51)*

ერთადერთი გუნდი, რომელმაც სტუმრად მოიგო, „მარსელია". ფრანგებმა უშუალო კონკურენტს, „ოლიმპიაკოსს" სძლიეს და მინიმუმ მე-3 ადგილის დაკავებისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 51-ე წუთზე გავიდა, როდესაც მორელმა კარის გასწვრივ ჩააწოდა და ყველას ლუჩო გონსალესმა დაასწრო.

### ჩელსი-ლევერკუზენი 2:0

*1:0 ლუისი (67), 2:0 მატა (90)*

„ჩელსიმ", შინაურ არენაზე „ლევერკუზენი" 2:0 დაამარცხა და ტურნირი 3 ქულით დაიწყო. გულშემატკივარი უფრო დაძაბულ მატჩს ელოდა, მაგრამ მასპინძლები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და იოლადაც იმარჯვეს.

ანგარიში 67-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც დავიდ ლუისმა შეტევა წამოიწყო, საჯარიმოს სიახლოვეს ბურთი ტორესთან გაათამაშა და მოჭრილი დარტყმით მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. ტორესის პასით გავიდა მე-2 გოლიც — შეხვედრის ბოლო წუთზე, ესპანელმა მარცხენა ფლანგზე კარგად ითამაშა და კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილ ხუან მატას „ჩელსის"□ მაისურით ჩემპიონთა ლიგაზე პირველი გოლი გაატანინა.

### გენკი-ვალენსია 0:0

ერთადერთი მატჩი, რომელიც გატანილი გოლების გარეშე დასრულდა, „გენკისა" და „ვალენსიას" დაპირისპირება გახლდათ. როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ „ღამურებმა" მოპოვებული უპირატესობის სამ ქულად ქცევა ვერ მოახერხეს.

### პორტუ-შახტარი 2:1

*0:1 ადრიანო (12), 1:1 ჰალკი (28), 2:1 კლებერი (51)*

საინტერესო მატჩი გაიმართა პორტუში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა „შახტარი" 2:1 დაამარცხა. მასპინძლებმა მე-10 წუთზე პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს, მაგრამ ჰალკმა ბურთი 11 მეტრიდან ძელს გაარტყა. ორ წუთში, ლუიზ ადრიანომ მასპინძელთა მეკარის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. ჰალკმა არ მოისვენა და მაინც გაიტანა — 28-ე წუთზე, შორიდან ბრწყინვალედ შეასრულა ჯარიმა. 51-ე წუთზე, „პორტუს" შეტევის მარცხენა ფლანგზე ძალიან კარგად ითამაშა როდრიგესმა, რომლის პასის შემდეგაც ცარიელი კარის წინ დარჩენილმა კლებერმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. აღვნიშნავთ, რომ ორივე ტაიმის მიწურულს, არბიტრმა „შახტარს" თითო ცენტრალური მცველი გაუძევა.

### აპოელი-ზენიტი 2:1

*0:1 ზირიანოვი (63), 1:1 მანდუსა (73), 2:1 ალმეიდა (75)*

ამ მატჩში ფავორიტებად რუსები ითვლებოდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა იმიტომ არის, მსგავს ფავორიტებს არ ცნობს. სტატუსს რუსები 73-ე წუთამდე ამართლებდნენ, სანამ ზირიანოვის გოლით იგებდნენ. შემდეგ კი 2 წუთში მანდუსამ და ალმეიდამ კვიპროსულ გუნდს კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვება მოუტანეს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| აპოელი-ზენიტი | 2:1 |
| ბარსელონა-მილანი | 2:2 |
| დორტმუნდი-არსენალი | 1:1 |
| პლზენი-ბატე | 1:1 |
| გენკი-ვალენსია | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-მარსელი | 0:1 |
| პორტუ-შახტარი | 2:1 |
| ჩელსი-ლევერკუზენი | 2:2 |
| **რაგბი. მსოფლიო თასი** | |
| სამოა-ნამიბია | 49:12 |
| ტონგა-კანადა | 20:25 |
| საქართველო-შოტლანდია | 6:15 |

# საქართველომ შოტლანდიასთან მხოლოდ დაცვაში იომა



### საქართველო — შოტლანდია 6:15

**საქართველო:** რევაზ გიგაური, ირაკლი მაჩხანელი, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ალექსანდრე თოდუა, მერაბ კვირიკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე; დავით ხინჩაგიშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, დავით ზირაქაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ვახტანგ მაისურაძე, შალვა სუთიაშვილი, მამუკა გორგოძე, დიმიტრი ბასილაია

**მარქაფა:** აქვსენტი გიორგაძე, დავით ქუბრიაშვილი, გიორგი ჩხაიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ბიძინა სამხარაძე, ლაშა ხმალაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი

**2 საჯარიმო:** კვირიკაშვილი

**შოტლანდია:** რორი ლამონტი, მაქს ევანსი, ნიკ დე ლუკა, გრემ მორისონი, შონ ლამონტი, დენ პარკსი, რორი ლოუსონი; ალან ჯაკობსენი, სკოტ ლოუსონი, ევან მიურეი, ნათან ჰაინსი, ჯიმ ჰამილტონი, ელი სტროკოში, როს რენი, კელი ბრაუნი

**მარქაფა:** როს ფორდი, ჯეფ კროსი, ალასდერ დიკინსონი, რიჩი გრეი, რიჩი ვერნონი, ქრის კაზიტერი, კრის პატერსონი

**4 საჯარიმო:** პარკსი

**არეკნი:** პარკსი

ახალ ზელანდიაში მიმდინარე რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ეროვნული გუნდიც ჩაება და პირველ მატჩი შოტლანდიის ნაკრებთან გამართა. სამწუხაროდ, დასაწყისი ისეთი არ გამოვიდა, როგორსაც ველოდით — რიჩი დიქსონის შეგირდები 6:15 დამარცხდნენ და პრემიალური ქულის აღებაც ვერ მოახერხეს.

ერთი შეხედვით, ანგარიში მცირეა და თუ სქოთთა ძალას გავითვალისწინებთ, ჩვენებს ურიგოდ არ უთამაშიათ. თუმცა, მხოლოდ ერთი შეხედვით. ისევ სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები არ გავდა თავის თავს და საკმარისზე ცუდად ითამაშა.

ჩვენს გუნდში დადებითი რაც შეინიშნებოდა, დაცვაში შესანიშნავი თამაში იყო — ადვილი საქმე მართლაც არ არის, იმ დონის გუნდს, როგორიც შოტლანდიაა, ერთი ლელოც კი არ გაატანიო. თუმცა, მარტო დაცვაში კარგი თამაში წარმატების გარანტი რომ არ არის, ეს სხვა სპორტის მაგალითებზეც კარგად იცის ქართველმა გულშემატკივარმა.

აშკარად ვერ ითამაშეს გუნდის ლიდერებმა, ხოლო შეტევაში ძალიან უფანტაზიოდ გამოვიყურებოდით და მეტოქის ნახევარზე გადასვლა სანატრელიც კი იყო. 22-მეტრიანში შესვლა კი მხოლოდ მატჩის ბოლო წუთზე მოვახერხეთ და მაშინაც ჩვენი მოწოდებული აუტი წავაგეთ. განსაკუთრებით თვალში საცემია ჩვენების უდისციპლინო თამაში დაცვაში — დიქსონის შეგირდები 13-ჯერ დაჯარიმდნენ, როდესაც მეტოქემ ეს მხოლოდ 5-ჯერ გააკეთა. ფაქტიც სახეზეა — სქოთებმა სწორედ ჯარიმების ხარჯზე იმარჯვეს.

შოტლანდიელებთან მოგება ჯერ კიდევ ილუზიის სფეროს მიეკუთვნება და ზემოთ ნახსენები კრიტიკაც მხოლოდ იმისთვის, რომ ბორჯღალოსნებიდან გულშემატკივარი უფრო მეტს ელის. დარწმუნებული ვართ, ეს არ იყო ჩვენი ნაკრების საუკეთესო თამაში და გუნდს კიდევ უფრო მეტი შეუძლია და თავის ნამდვილ ძალას დარჩენილ მატჩებში გვიჩვენებს.

არადა, ანგარიშის მხრივ ყველაფერი კარგად დაიწყო — მე-17 წუთზე მერაბ კვირიკაშვილმა ჯარიმით გახსნა, მანამდე კი ჩვენ დამრტყმელს არეკნი გაუცუდდა ახლო მანძილიდან. შოტლანდიელებს იქვე შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ პარკსმა გააფუჭა ხელსაყრელი ჯარიმა. თუმცა, სქოთთა დამრტყმელმა ყველაფერი შესვენებამდე გამოასწორა — პარკსმა ზედიზედ ორი საჯარიმო გაიტანა, რასაც თან არეკნი დაურთო და შესვენებაზე ჩვენები 6-ქულიანი ჩამორჩენით გავიდნენ — 3:9.

მეორე ნახევარში დიდი ხნის განმავლობაში ეს ანგარიში შენარჩუნდა, დასკვნით 10 წუთში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს და კვლავ 6-ქულიანი სხვაობა შენარჩუნდა, თუმცა, 75-ე წუთზე სქოთებმა ერთი ჯარიმაც გამოიყენეს და სხვაობა 9 ქულამდე გაზარდეს.

სამწუხაროდ, დარჩენილ დროში საპასუხო ქულის აღება ვერ მოხერხდა და რადგან 7-ზე მეტი სხვაობით დავმარცხდით, პრემიალური ქულის აღებაც ვერ მოხერხდა, თუმცა, ბონუსი ვერც შოტლანდიამ აიღო, რადგან ოთხი კი არა, ერთი ლელოს გატანაც ვერ მოახერხა.

საქართველოს ნაკრები მეორე შეხვედრას 18 სექტემბერს ინგლისის წინააღმდეგ გამართავს.

# ალექსანდრე ამისულაშვილმა კრასნოდარში გოლების ანგარიში გახსნა

რუსეთის პრემიერლიგის ბოლო ტურში „კრასნოდარმა" საკუთარ მოედანზე ყაზანის „რუბინი" 3:1 დაამარცხა. მასპინძელთა წარმატებაში წვლილი გუნდის ქართველმა კაპიტანმა ალექსანდრე ამისულაშვილმაც შეიტანა, რომელმაც 61-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა. ეს თურქული „ქაისერისფორიდან" „კრასნოდარში" ამ ზამთარს გადასული საქართველოს ნაკრების მცველის პირველი გოლია.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ამისულაშვილს „სპორტ-ექსპრესმა" ჩამოართვა.

***— რას ნიშნავს თქვენთვის ეს გამარჯვება?***

— პრემიერლიგის წამყვანი ექვსეულის გუნდთან 3 ქულის პირველად აღებას.

***— რით გაგაოცათ „რუბინმა"?***

— რით? ჩვენ გავიმარჯვეთ. საუკეთესო მატჩები წინ გველის. შევთამაშდით და ვუმატებთ.

***— ახლა ოცნებაც შეიძლება იმის შესახებ, რომ ლიდერთა შორის მოსახვედრად ბრძოლა კიდევ შეიძლება და დაკარგული არაფერია. ასეა?***

— ამის შესახებ ჯერ არ ვფიქრობთ. ამბიცია საუცხოო რამ არის და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. თუმცა, გუნდი პრემიერლიგის დებიუტანტია, ზამთარში ხელახლა შეიქმნა. დიდი საქმეები სწრაფად არ კეთდება.

***— მართალია გუნდი ახალია, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.***

— მერე რა? ჩვენ ერთად სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეგვკრიბეს. როდესაც ჩემპიონატის პირველ თამაშზე გამოვდიოდი, ზოგიერთი თანაგუნდელის სახელიც არ ვიცოდი. ვიდრე დავახლოვდით, ვიდრე შევთამაშდით...

***— რთული დასაჯერებელია, რომ ისეთი ამბიციური ადამიანი, როგორიც თქვენი კლუბის პრეზიდენტი სერგეი გალიცკია, „ზენიტის", „რუბინისა" და ცსკა-ს დამარცხებაზე არ ფიქრობდეს.***

— ჯერჯერობით გუნდს ილუზიებს არავინ უსახავს. მთავარი მიზანი კარგად თამაში და ნამდვილ გუნდად ჩამოყალიბებაა.

***— „ანჟის" მიერ ფეხბურთელების შესაძენად დიდძალი თანხის ხარჯვას ბევრი არ მიესალმება. რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— ეს დროის ამბავია და გაივლის. ეტოოს და ჟირკოვის ჩამოსვლა ჩემპიონატს ნამდვილად გაალამაზებს. გარდა ამისა, ფულზე მნიშვნელოვანი საკითხებიც არსებობს. ახლა მთელ მსოფლიოში ხალხი მახაჩყალაზე საუბრობს, როგორც ქალაქზე, სადაც რობერტო კარლოსი და ეტოო თამაშობენ. ერთი წლით ადრე კი ამბობდნენ, რომ დაღესტანში ყოველდღე ისვრიან. ახლა, „ანჟის" მიერ ჩატარებული ნებისმიერი მატჩი მოვლენაა, რომელსაც ხალხი ელის. იქ ცხოვრება იცვლება.

***— რამდენიმე წელიწადი ნალჩიკის „სპარტაკში" გაატარეთ, გუნდში, რომელიც მცირე ბიუჯეტის მიუხედავად თამაშითა და შედეგით მეტოქეებს აოცებდა.***

— იქ ყველა ფაქტორი ერთმანეთს ძალიან იღბლიანად დაემთხვა — კლუბში შეკრებილი ხალხი, ფეხბურთელების ერთად ყოფნისა და მუშაობის სურვილი.

***— ნალჩიკელების მთავარი საიდუმლო კრასნოჟანი იყო?***

— ის საკვანძო ფიგურა იყო. კრასნოჟანს ხალხის ერთი იდეის გარშემო გაერთიანება შეეძლო. მასთან ცუდად მუშაობა შეუძლებელია. უბრალოდ, უხერხულია.

***— „კრასნოდარში" ასეთ ფიგურად თქვენ გთვლიან. გაზაფხულზე, როდესაც ტრავმა მიიღეთ, გუნდი თქვენს გარეშე ქულებს კარგავდა.***

— დამიჯერეთ, საქმე ჩემში არ არის! მაშინ მოედანზე ურთიერთგაგება არ გვყოფნიდა, რადგან გუნდი ახლად შექმნილი იყო. სარეზერვო ჯამში კი, 7-8 ქულა დავკარგეთ.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# უმედლო და ულიცენზიო დღე

სტამბოლში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის მეორე დღე წარუმატებელი გამოდგა ქართველი სპორტსმენების — სამ წონით კატეგორიაში ვერც მედლის აღება მოვახერხეთ და ოლიმპიურ ლიცენზიასაც ვერ შევწვდით.

ხალიჩაზე 60, 84 და 120 კილოგრამ წონით კატეგორიებში მოჭიდავეები გავიდნენ და შესაბამისად რევაზ ლაშხმა, ვლადიმერ გეგეშიძემ და შოთა გოგისვანიძემ იჭიდავეს.

ლაშხი, რომელიც ევროპის ჩემპიონია, მსოფლიოს პირველობაში მეორე წრიდან ჩავარდა, თუმცა სტარტზევე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები ერგო — მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები — იაპონელი რიუტარო მაცუმოტო და სამხრეთკორეელი ჯი-იუნ იანგი. შეგახსენებთ, რომ ლაშხმა მსოფლიოს პირველობა შარშან მეოთხედფინალში წააგო, ხოლო იანგთან — რეპეშაჟის ფინალში.

ჩვენებურმა მხოლოდ იაპონელს მოუგო, ხოლო სამხრეთკორეელთან კი სამსეტიან დაძაბულ შეხვედრაში დამარცხდა. სამწუხაროდ, იანგმა ფინალში ვერ გააღწია და ლაშხს რეპეშაჟის გზაც ჩაეკეტა.

ვლადიმერ გეგეშიძე და შოთა გოგისვანიძე საწყის ეტაპზევე დამარცხდნენ. სტამბოლურ ხალიჩაზე ორივე თითოჯერ გავიდა. გეგეშიძე ფრანგ მელონინ ნუმონვის ვერ გასცდა, გოგისვანიძე — ირანელ ბაშირ ასგარი ბაბაჯანზადეს. ფინალში ვერც ნუმონვი და ბაბაჯანზადე გავიდნენ.

გუშინ საქმეში საქართველოს ნაკრების ლიდერი მანუჩარ კვირკველიაც (74 კგ) ჩაერთო, მაგრამ მისი ჭიდაობა გვიან დასრულდა.

## დღის კალენდარი

**15 სექტემბრისთვის**



წლის 258-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 107 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

**მე-14 შვიდეული შემდგომად მეერგასისა. ხუთშაბათი**

მოწამისა მამაისი (275), მამისა მისისა თეოდოტესი და დედისა მისისა რუფინასი (III); ღირსისა იოანე მმარხველისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (595); მოწამეთა 3628-თა ნიკომიდიელთა (III-IV).

ხსენება მოწამე მამაისა, მამისა მისისა თეოდოტესი და დედისა რუფინასი (III); ღირსი იოანე მმარხველისა კონსტანტინეპოლის პატრიარქი (595); 3628 მოწამეთა, ნიკომიდიას წამებულთა (III-IV).

წმიდა მოწამე მამანტი დაიბადა პაფლაგონიაში კეთილშობილი და ღვთისმოშიში ქრისტიანების თეოდოტესა და რუფინას ოჯახში. ისინი წარმართებმა შეიპყრეს და საპყრობილეში ჩაყარეს, სადაც აღესრულნენ კიდეც. დაობლებული მამანტი ღვთის სიყვარულით გაიზარდა და სიცოცხლის ბოლომდე მსახურებდა ღმერთს.

ღირსი იოანე მმარხველი, პატრიარქი კონსტანტინოპოლისა, ცნობილია, როგორც შემდგენელი სინანულის ნომოკანონისა, რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. ეს კრებული წარმოადგენს სწავლა-დარიგებებს სულიერი მოძღვრებისა.

3628 ნიკომიდიელი წმიდა მოწამე იმპერატორების დიოკლეტიანესა და მაქსიმიანეს დროს ევნენ ქრისტიანობისთვის.

**დაიბადნენ:**

1890 — აგატა კრისტი, ინგლისელი მწერალი, გარდაიცვალა 1976 წელს.

1908 — ირაკლი ანდრონიკოვი, ქართული წარმოშობის რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1990 წელს.

1915 — გიორგი ტოვსტონოგოვი, რეჟისორი, გარდაიცვალა 1978 წელს.

1929 — რევაზ სალუქვაძე, ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1956 — ეთერ ანჯაფარიძე, პიანისტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მუსიკალური კონსერვატორიის პროფესორი.

**გარდაიცვალნენ:**

1851 — ჯეიმს ფენიმორ კუპერი, ამერიკელი მწერალი, ამერიკული რომანის ფუძემდებელი.

1938 — ტომას ვულფი, ამერიკელი მწერალი.

**მოვლენები:**

1615 — ალავერდში დავით ჯანდიერის მეთაურობით დაიწყო კახეთის აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ.

1776 — ბრიტანეთის ჯარებმა ნიუ-იორკის ოკუპაცია მოახდინეს.

1857 — ტიმოთი ალდერბმა საბეჭდი მანქანა დააპატენტა.

1883 — გაიხსნა ტეხასის უნივერსიტეტი.

1928 — ალექსანდრ ფლემინგმა აღმოაჩინა ანტიბიოტიკ პენიცილინის შემადგენლობა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

კოსტა-რიკა — დამოუკიდებლობის დღე.
იაპონია — უფროსებისადმი პატივისცემის დღე.
მექსიკა — დამოუკიდებლობის დღე.
რუსეთი — მეტყევეთა დღე.

მედიანიუსი

## ეროვნული არქივის დელეგაცია ესტონეთში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის დელეგაცია, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორის მოადგილის სოფიო ლონდარიძის ხელმძღვანელობით ესტონეთში გაემგზავრა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან იუსტიციის სამინისტროსა და ეროვნული არქივის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურების წარმომადგენლები, რომლებიც ესტონეთის ეროვნულ არქივსა და ტალინის სახელმწიფო არქივში გაეცნობიან ციფრული არქივების ფორმირებისა და დოკუმენტების დიგიტალიზაციის საკითხებს, ასევე, მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ელექტრონული მთავრობის, უნივერსალური დაარქივების მოდულის, ციფრული საარქივო ჩანაწერების პროექტის შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები ეწვევიან ესტონეთის ინფორმაციული სისტემების ორგანოს, ასევე კინოარქივს, სადაც გაეცნობიან არქივის სტრუქტურას, საარქივო ინსტრუქციებს, დიგიტალიზაციის პროექტებს კინოარქივში.

ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი 2011 წლის მაისში შეხვდა ესტონეთის სახელმწიფო არქივის დირექტორს მარკე ტიდუსს. შეხვედრაზე მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ უახლოეს მომავალში ესტონეთის სახელმწიფო არქივი უმასპინძლებდა ეროვნული არქივის დელეგაციას და დეტალურად გააცნობდა ციფრული არქივების შექმნისა და ხელმისაწვდომობის საკითხებს.

ესტონური მხარის გამოცდილების გაზიარება საშუალებას მისცემს ეროვნული არქივის წარმომადგენლებს, დანერგონ ევროპული სტანდარტები საარქივო სისტემაში. საქართველოს ეროვნული არქივის დელეგაციის ვიზიტი ესტონეთში 16 სექტემბერს დასრულდება.

## კულტურის სამინისტრო თარგმანების პრეზენტაციას გამართავს

ეკა ირემაშვილი

15 სექტემბერს საქართველოს კულტურის სამინისტროს „არტ▯კაფეში“ გაიმართება სამინისტროს მიერ გამოცხადებული მთარგმნელობითი კონკურსის ფარგლებში გამოცემული ორი ახალი წიგნის როლან ბარტის „მითოლოგიები“ და ჰენრი დევიდ თოროს „ოულდენი ანუ ტყეში ცხოვრება“ პრეზენტაცია. ღონისძიებას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მიწვეული სტუმრები დაესწრებიან.



ნიკოლოზ რურუა

როლან ბარტი ცნობილი ფრანგი სემიოლოგი, კრიტიკოსი და ესეისტია. მან შემოქმედებითი მოღვაწეობის დიდი ნაწილი მითის ცნებას მიუძღვნა. ავტორი იუმორით შეზავებულ მეცნიერულ ანალიზს უკეთებს 50-იან წლებში საზოგადოებაში გაბატონებულ მითებს. წიგნი „მითოლოგიები“ ფრანგულიდან ნატალია მთივლიშვილმა თარგმნა და ის გამომცემლობამ „აგორა“ გამოსცა.

აღნიშნული მთარგმნელობითი კონკურსის ფარგლებში აგრეთვე გამოიცა ჰენრი დევით თოროს „ოულდენი ანუ ტყეში ცხოვრება“. თორო ამერიკელ ტრანსცენდენტალისტთა ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია. მისმა იდეალიზმმა, შეურიგებლობამ შემდგომში გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ტოლსტოიზე, განდიზე, მარტინ ლუთერ კინგზე. „თოროს ამ ერთ წიგნშია ყველაფერი, რაც ამერიკაში გვქონდა და დავკარგეთ“, — ასე ახასიათებს ამ წიგნს რობერტ ფროსტი. წიგნი ინგლისურიდან თარგმნა ქეთი ქანთარიამ და ამომცემლობა „სიესტას“ მიერ გამოიცა.

## უნიკალურმა არქეოლოგიურმა აღმოჩენამ შესაძლოა, თბილისის დაარსების ისტორია შეცვალოს



უნიკალურმა არქეოლოგიურმა აღმოჩენამ შესაძლოა, თბილისის დაარსების ისტორია შეცვალოს.

მეტეხის ხიდთან, 40 მოწამის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის დროს არქეოლოგებმა უძველესი დედა-ციხის ნაშთებს მიაკვლიეს.

აღმოჩენილია ციხის გალავანი, რომელიც ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდისაა, ასევე სასახლის უფრო ძველი ფენები, რომელიც გორგასლის მოღვაწეობამდე ბევრად ადრინდელ პერიოდს მოიცავს.

არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ ამ აღმოჩენის საფუძველზე შესაძლოა, ყველასთვის კარგად ნაცნობი ამბავი თბილისის დაარსების შესახებ სრულიად შეიცვალოს, რადგან აღმოჩენა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ამ ტერიტორიაზე ციხე-ქალაქი უფრო ადრე არსებობდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამავე ტერიტორიაზე აბანოებსაც მიაკვლიეს, რომელიც I-II საუკუნეების ანტიკური პერიოდით თარიღდება.

სპეციალისტები იმ ნივთებსაც სწავლობენ, რომლებიც დედა-ციხის ტერიტორიაზე სამარხების გათხრის დროს იპოვეს.

არქეოლოგიურ სამუშაოებს საპატრიარქო და ეროვნული მუზეუმი ერთობლივად ატარებენ. ექსპედიციას თბილისის მერია აფინანსებს.

პირველი

## ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფაქტების რაოდენობა 28,7%-ით შემცირდა

შს სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის 2528 ფაქტი დაფიქსირდა, რაც გასული წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 28,7%-ით ნაკლებია.



ზემოაღნიშნული საქმეებიდან 405 ამ დრომდე გაუხსნელად ითვლება. გამოვლენილი ნარკოდანაშაულებიდან მძიმე კატეგორიას 1 206 საქმე მიეკუთვნება. შს სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკის მასშტაბით ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდის 57, რეალიზაციის 55, ნარკოტიკების შემცველი მცენარეების დათესვის 100 ფაქტი დაფიქსირდა.

მისივე მონაცემებით, ქვეყანაში გამოვლენილი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის თითქმის ნახევარი — 1273 ფაქტი თბილისზე მოდის, მათგან 448 მძიმე კატეგორიისაა.

პირველი

## ანგოლაში თვითმფრინავის ვარდნას 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ანგოლას ცენტრალურ ნაწილში სამხედრო თვითმფრინავის ვარდნას 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა აფრენიდან მალევე განიცადა. მისი ჩამოვარდნის მიზეზები ჯერ-ჯერობით უცნობია. მაშველების თქმით, თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც ლუანდუში მიფრინავდა, 36 ადამიანი იმყოფებოდა. ავიაკატასტროფას 6 ადამიანი გადაურჩა.

ბოლო ინფორმაციით, დაღუპულთა შორის სამი გენერალი და სამი პოლკოვნიკია.

პირველი

## „ამერიკის ხმა“: „ქემერონმა რუსეთთან 340-მილიონიან საქმიან გარიგებას მოაწერა ხელი“



დევიდ ქემერონი

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ ქემერონმა პოლიტიკური დაპირისპირებები დროებით გვერდზე გადადო და რუსეთთან 340-მილიონიან საქმიან გარიგებას მოაწერა ხელი.

ამის შესახებ ქემერონის მოსკოვში ვიზიტის შეჯამებისას „ამერიკის ხმა“ იუწყება.

— დიდი ბრიტანეთის პირველი პირი ექვსწლიანი პაუზის შემდეგ რუსეთს პირველად ესტუმრა და მას წარმომადგენლობითი დელეგაცია ახლდა, რომლის შემადგენლობაში სხვა ბიზნესმენებთან ერთად „ბრითიშ პეტროლეუმის“, „შელის“ და „როლს როისის“ მმართველები იმყოფებოდნენ, — იუწყება „ამერიკის ხმა“, რომლის მონაცემებით, ახალი საქმიანი ხელშეკრულება დამატებით 500 სამუშაო ადგილს შექმნის და ათასობით უკვე არსებულ პოზიციას გაამყარებს.

ცნობისთვის, ამჟამად რუსეთში დაახლოებით 600-ზე მეტი ბრიტანული კომპანია მოქმედებს. რუსეთის ეკონომიკური ზრდა წელს 4 პროცენტს აჭარბებს, რაც დანარჩენი ევროპული ქვეყნების მაჩვენებელზე ბევრად მაღალია. შეგახსენებთ, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა 2006 წელს ლონდონში ალექსანდრე ლიტვინენკოს გახმაურებული მკვლელობის შემდეგ გამწვავდა. გასულ ორშაბათს პრეზიდენტმა მედვედევმა პოლონიუმით მოწამლვაში ეჭვმიტანილი მკვლელის ექსტრადაციაზე კიდევ ერთხელ მკაცრი უარი განაცხადა.

პირველი



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბრაზილიის ნაკრებისა და „მილანის“ ფეხბურთელი; 2. შლამი, დანალექი მდინარის, ტბის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მდინარე კახეთში; 9. ჩეხეთის ძველი სახელწოდება; 10. ნავთობის საბადო კახეთში; 12. კუთხე საქართველოში; 13. ნაყინშერეული ყავა; 15. რახმანინოვის ოპერა.

**თარაზულად:** 1. პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამომცემელი იტალიელი მესტამბე; 6. კომუნიკაციის საშუალებათა, გაზეთი, ტელევიზია, რადიოს ერთობლიობა; 7. სატანვარჯიშო იარაღი; 10. ხშირი წიწვოვანი ტყის ზოლი ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში; 11. მრწამსი, რწმენა, მსოფლმხედველობა; 13. კახეთის სამეფოს დედაქალაქი; 14. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 16. უბანი თბილისში; 17. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 18. ფულის ერთეული ტაჯიკეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყორე; 2. ილი; 3. სერენადა; 4. კუ; 5. ალაპულკო; 6. ჩეხი; 7. სანდალი; 10. ბონი; 11. ტყვარჩელი; 12. მეცენატი; 13. ზილი; 16. ნიბლია; 18. რიტუალი; 19. ოპიუმი; 21. ჯუნტა.

**თარაზულად:** 1. ყარსალი; 3. სენაკი; 8. სკლერა; 9. რაბი; 11. ონისე; 15. „სინხუა“; 17. ცანა; 20. დურუჯი; 22. კრინი; 23. პანამა; 25. სნო; 27. წუღა; 28. ამპლიტუდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯიში; 2. ახო; 3. პაცეფისტი; 4. ალაფი; 5. სორბონა; 8. შუმი; 9. ჰიპნოზი; 10. რობერტსი; 12. ჯორჯია; 13. დვირი; 15. დაზგა.

**თარაზულად:** 1. ჯანდარა; 6. „ვატერლოო“; 7. შაშვი; 10. რკინა; 11. ამური; 13. დანტე; 14. გადია; 16. ჯიპი; 17. ინვაზია; 18. როკაპი.

## საბერძნეთს შენგენის ზონიდან რიცხავენ

როგორც ფაინანშალ ტაიმსი იუწყება, საბერძნეთის ევროზონიდან გარიცხვის შანსი თითქმის 98 პროცენტია.

გამოცემის ინფორმაციით, პარასკევს ბრიუსელში ევროპის შესაბამისი ოფიციალური პირები შეთანხმდებიან იმ მექანიზმზე, რომლის მეშვეობითაც შენგენიდან ამა თუ იმ ქვეყნის გარიცხვა გახდება შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ შენგენის ზონა 1995 წელს შეიქმნა და მასში ამჟამად 25 სახელმწიფოა გაერთიანებული.

**მედიანიუსი**

## ერაყში სამხედრო ბაზასთან აფეთქებას 15 სამხედრო ემსხვერპლა

ერაყში სამხედრო ბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ აფეთქებას 15 სამხედრო ემსხვეპლა. „როიტერის“ ინფორმაციით, ჰაბანის ბაზასთან ახლოს, რომელიც ბაღდადის დასავლეთით, 85 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს, ავტობუსი აფეთქდა. წინასწარი ინფორმაციით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტობუსში იყო დამონტაჟებული.

დაშავებულია 20 ადამიანი. მომხდარის დამატებითი დეტალები ამ დროისთვის უცნობია.

**ინტერპრესნიუსი**

## ალა პუგაჩოვა პოლიტიკაში მიდის


ალა პუგაჩოვა

ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა მიხაილ პროხოროვის პარტია „პრავოე დელოში“ შედის. ეს ინფორმაცია „რია ნოვოსტის“ პარტიის პრესსამსახურში დაუდასტურეს.

— პროხოროვი და პუგაჩოვა შეთანხმდნენ, რომ მომღერალი პარტიაში შედის, — აცხადებენ პარტიის პრესსამსახურში.

როგორც ცნობილია, ცოტა ხნით ადრე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში პუგაჩოვა ამბობდა, რომ თუ პროხოროვი მას თავის პარტიაში მიიწვევდა, იგი აუცილებლად დათანხმდებოდა.

**მედიანიუსი**

## სოხუმის ადმინისტრაცია ქალაქის ნაგვისგან გაწმენდას ცდილობს


ალიას ლაბახუა

სოხუმის დე ფაქტო ადმინისტრაცია ქალაქის ნაგვისგან გაწმენდას ცდილობს. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესს“ ადმინისტრაციის უფროსმა ალიას ლაბახუამ განუცხადა.

მისი ინფორმაციით, 20 დღის განმავლობაში საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენები სოხუმიდან არ გაუტანიათ მაიაკის რაიონში მდებარე ნაგავსაყრელზე. ამის მიზეზი კი ნაგავსაყრელზე მიმდინარე სამუშაოებია, სადაც ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ესკავატორი მუშაობს.

— იმან, რომ ნაგავი არ გაგვიტანია, რა თქმა უნდა, სოხუმელების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ეს იძულებითი ზომა იყო. მძლავრი ტექნიკის გარეშე ვერაფერს გავხდებით. ჯერ მხოლოდ ერთი ექსკავატორი გვაქვს, მაგრამ მალე კიდევ ერთი, ასევე ერთი ბულდოზერი და „კამაზი“ გვექნება, — განაცხადა ლაბახუამ.

მისივე ინფორმაციით, უკვე შეიძინეს მოსკოვში დამზადებული 50 ვერცხლისფერი კონტეინერი. ლაბახუას თქმით, კონტეინერებზე მითითებული იქნება ტელეფონის ნომერი და კონტეინერის გავსების შემთხვევაში, ნაგვის გატანის თხოვნით მოსახლეობამ სწორედ ამ ნომრებზე უნდა დარეკოს.

**ინტერპრესნიუსი**

## სირიაში რუსეთის დროშა დაწვეს

სირიის ქალაქებში, დერაასა და ჰომსში გუშინდელი დღე ოპოზიციამ რუსეთის წინააღმდეგ „მრისხანების დღედ“ გამოაცხადა. ამის შესახებ რუსული მედია იუწყება.

აქციებზე მომიტინგეებმა პროტესტის ნიშნად რუსეთის დროშები დაწვეს იმის გამო, რომ მოსკოვი დასავლეთის მიერ სირიის ხელისუფლებისთვის დაწესებულ სანქციებს მხარს არ უჭერს.

— ნუ დაუჭერთ მხარს მკვლელებს, ნუ ხოცავთ სირიელებს თქვენი პოზიციით. დიმიტრი ანატოლის ძევ, ნუ მიემხრობით სირიის რეჟიმს, ის სტალინის რეჟიმის მსგავსად განწირულია, — მსგავსი რუსულენოვანი ბანერები ჰქონდათ, ოპოზიციონერებს.

ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ სირიის უსაფრთხოების ძალებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რასაც მსხვეროლი მოჰყვა. არაბული სახელმწიფოების ლიგამ სირიის ხელისუფლებას სისხლისღვრის დაუყოვნებლივ შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომის მოთხოვნით, საპროტესტო აქციები რამდენიმე თვეა მიმდინარეობს. ამ ხნის განმავლობაში არეულობას რამდენიმე ათასი ადამიანი ემსხვერპლა.

**ინტერპრესნიუსი**

## ინტერნეტით დოკუ უმაროვის ახალი ვიდეომიმართვა გავრცელდა


დოკუ უმაროვი

ინტერნეტით ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერის, დოკუ უმაროვის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის შემდეგ მისი პირველი ვიდეომიმართვა გავრცელდა. კადრები ტყეშია გადაღებული, თავად უმაროვი კი ჯანმრთელად გამოიყურება.

დოკუ უმაროვი მიმართვაში ამბობს, რომ ჩანაწერი გაკეთებულია 2011 წლის 10 ივლისს. იგი კავკასიის მოჯაჰედებს შორის განხეთქილების აღსრულებაზე საუბრობს.

— 10-15 დღეში იწყება რამადანის თვე. მუსულმანებისთვის ამ სამყაროში ცოტა რამ არის სასიხარულო ისევ მუსულმანების გამო, რადგან ჩვენ ალაჰს დავშორდით. ამიტომ ალაჰი ცოტა სიხარულს აძლევს მუსულმანებს. მივმართავ კავკასიისა და მსოფლიოს მუსულმანებსა და მოჯაჰედებს და მინდა ვაცნობო სასიხარულო ახალი ამბავი კავკასიიდან განხეთქილება, რომელიც იყო კავკასიაში, მთლიანად დასრულდა და ამისთვის მადლობა ალაჰს, — ამბობს უმაროვი.

ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერი მიმართავს კავასიასაა და რუსეთში მყოფ მოჯაჰედებს, რომ მთელი ძალისხმევა ალაჰის მტრებიის წინააღმდეგ მიმართონ.

„კავკასიის ემირის“, დოკუ უმაროვის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია რუსულმა სპეცსამსახურებმა 30 მარტს გაავრცელეს. რუსული მედია იუწყებოდა, რომ მებრძოლთა მეთაური სარაკეტო იერიშს ემსხვერპლა, რომელიც სამხედრო ავიაციამ ტერორისტების ბაზაზე მიიტანა. თუმცა, მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ექსპერტიზამ უმაროვის სიკვდილი არ დაადასტურა.

**ინტერპრესნიუსი**

## ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 66-ე სესია გაიხსნა

ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 66-ე სესია გაიხსნა. კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება, გაერო-ს რეფორმირება და მისი საქმიანობის გააქტიურება, ეფექტური რეაგირება სტიქიურ უბედურებებზე, მდგრადი და გლობალური განვითარება ეს ის მიმართულებებია, რომლებზეც 66-ე სესიის მონაწილე ქვეყნების უმაღლესი წარმომადგენლები გაერო-ს შტაბბინაში განიხილავენ. სესიას ყატარელი დიპლომატი ნასერ აბდელ აზიზ ან-ნასერი ხელმძღვანელობს. ის ამ პოსტზე აფრიკული ქვეყნების რეგიონალური ჯგუფის წინადადებით აირჩიეს.

— ან-ნასერის განცხადებით, კაცობრიობას კრიტიკული პერიოდი უდგას. „მთელი მსოფლიოს ერები ეჭვქვეშ აყენებენ თავიანთ ქვეყნებში არსებულ მმართველობის სისტემას, აღარ ეშინიათ მოითხოვონ ის, რასაც იმსახურებენ და ცდილობენ, იაქტიურონ და მიაღწიონ ცვლილებებს, — აცხადებს ან-ნასერი.

დიპლომატის განცხადებით, მსოფლიო ეკონომიკაც ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ტრადიციულად, ახალი სესიის ფარგლებში გაიმართება ფართო პოლიტიკური დისკუსია, რომელიც 21-დან 27 სექტემბრამდე გაგრძელდება. ფართო პოლიტიკური დისკუსიის პარალელურად, 22 სექტემბერს გაერო-ს შტაბბინაში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე მაღალი დონის შეხვედრა გაიმართება. რუსეთის დელეგაციას სესიაზე საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი უხელმძღვანელებს. გენერალური ასამბლეის სესიაზე საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის მეთაურობით მიემგზავრება. მიხეილ სააკაშვილი გაერო-ში სიტყვითაც გამოვა. გენერალური ასამბლეა გაერო-ს მთავარი კრებითი ორგანოა. ის შედგება წევრი ქვეყნების თითო წარმომადგენლისგან. თითოეული მათგანი თითო ხმის უფლებით სარგებლობს. გაერო დღეს 193 წევრ ქვეყანას აერთიანებს.

**ინტერპრესნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

### თამაზ კახიშვილის გახსენება



ძალიან ძნელია შენზე წარსულ დროში საუბარი, რაც დრო გადის, მით უფრო საგრძნობია შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ვერასდროს წარმოვიდგენდით, თუ შენ ოდესმე სიკვდილი შეგეხებოდა, ადამიანს, რომელსაც უზომოდ უყვარდა სიცოცხლე.

თამაზ კახიშვილი! სულითხორცამდე ინტელიგენტი, ქალაქელი კაცი, საოცარი ადამიანი, შესანიშნავი შვილი, უბადლო მეგობარი, მოსიყვარულე და ერთგული მეუღლე, ალერსიანი მამა, ღირსეული ექიმი.

შენი ტრაგიკული გარდაცვალების ამბავი ელვისებურად მოედო მთელ ქალაქს. ჩვენ, შენი მეგობრები გავირინდეთ სასწაულის მოლოდინში. იქნებ შეცდომაა? იქნებ ჭორია?

ვაი, რომ სინამდვილე აღმოჩნდა.

მიმძიმს ამ სტრიქონების წერა, თვალწინ მიდგას შენი უსაყვარლესი მშობლების — ქალბატონი ნელისა და ბატონი ვალერის გახევებული სახეები, სწორედ მათ უნდა დაიკვეხონ, რომ შვილი გაზარდეს, თან როგორი ყურადღებიანი და მოალერსე მშობლების მიმართ. ერთხელ კამათიც მოგვივიდა მე და შენ — „დედაჩემის ცუდს ღმერთმა არ მომასწროს. ჯობს, პირველი მე წავიდე“-ო. ვაგლახ, რომ აგიხდა.

ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო თაზო, რომ უმოკლეს დროში შეძელი შენი უსაყვარლესი მეუღლისათვის, ულამაზესი ნინოსთვის გეჩუქებინა სამი განუმეორებელი წელიწადი თქვენი ერთობლივი ცხოვრებისა, როგორ დაამწუხრე შენი ნანიკო და უსაყვარლესი ლადო, წახვედი და დაგვიტოვე შენი ვაკო და მარიამი, შენი თვალცრემლიანი მეგობრები, შენმა უბანმა თითქოს ფერი იცვალა, მოწყენილი გვეჩვენება დღეს.

ქალაქმა ერთი ლამაზი თბილისელი კაცი დაკარგა, შენი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე შეძელი ის, რასაც ბევრი მთელ ცხოვრებას ანდომებს, უდიდესი სიყვარული და მონატრება დაგვიტოვე. ესეც ნიჭია, ნიჭი სიყვარულისა, რომელიც უფალმა აგრერიგად უხვად გიბოძა.

მახსენდება შენი სხარტულები და ხანდახან გიჟივით მეცინება, შენი სიტყვებია „за нас с вами и бог с нами“ — ასე დაგვლოცავდი, ან „ეს ცხოვრება ორი პარასკევია, ჰა-ჰა სამი“. ვაი, რომ შენთვის ასე აღმოჩნდა.

ჩვენო დაფიქრებულო და ჭკვიანო ექიმო! ამ ამპლუაშიც ერთ-ერთი მოწინავე იყავი, მუდამ პაციენტებით დატვირთული, მუდამ მათ ჯანმრთელობაზე მზრუნავი, რაც მთავარია, შენი კოლეგების გვერდში მდგომი. გვაკლიხარ, უზომოდ გვაკლიხარ.

ჩემო ძმაო და მეგობარო, არავის დაუშავებია შენთვის იმის ფასი, რა ტკივილიც მოგვაყენე შენი წასვლით, დაგვტოვე თვალცრემლიანი და დამწუხრებული, ჩვენი სამშობიაროს გოგონებს ჯერაც ცრემლი არ შეშრობიათ თვალებზე, ყველა შენი ენით ვსაუბრობთ. გუშინ შენი ორჯერ ნაკეისრალი პაციენტი შემოვიდა, ოპერციის მსვლელობის დროს ყველა შენი ენით ვსაუბრობდით. ბარაქალა შენს ხელებს, გვიყვარხარ და გვენატრები.

შენი გარდაცვალებიდან, დიახ, გარდაცვალებიდან და არა სიკვდილიდან, რამეთუ შენნაირი კაცები არ კვდებიან, ორმოცი დღე გავიდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უბოროტო სული, ჩვენ კი უფალმა მოგვცეს ძალა, რათა შენი შვილების გვერდში დგომა შევძლოთ.

***შენი მეგობარი დავით კობეშავი ე და სამშობიარო „იმედის კლინიკა“***

შვილები თემურ, ზაზა ცერცვაძეები, რძლები ლიტა ჩქარეული, მანანა ყარყარაშვილი, შვილიშვილები თამუნა, დათო, სალომე ცერცვაძეები, სიძეები დათო ფაჩულია, პაატა ჩიბალაშვილი, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რაისა ევტიხის ასული ხუნდაძე**

პანაშვიდი: 14 სექტემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 15 სექტემბერს, 15 საათზე.

მისამართი: ამბროლაურის ქუჩა №166, I კორპუსი, I სადარბაზო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 15 სექტემბერი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **08.30** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **09.30** სათავგად. ფილმი "**უბრალოდ დესერტი**" **11.00** დოკ. ფილმი **11.20 რაგბი**. მსოფლიო თასი. რუსეთი-აშშ **13.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **16.00, 20.00** მოამბე **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** მედინფო **18.30** ჩვენი ფერმა **18.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **21.00** სერ. "**არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის**" **21.50 კალათბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი **23.50** თოქ-შოუ "არენა" **00.50** ავტოპილოტი **01.50** მხ. ფილმი "**სასიყვარულო წერილი**" (12) **03.25** მოამბე **03.45** არენა **04.45** მხ. ფილმი "**სერიული მკვლელი**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.30** თავისუფალი ტრიბუნა **20.30 ჭიდაობა**. მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინალები **22.30** დოკ. ფილმი **01.00** მხ. ფილმი "**ოჯახის სახელით**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმნდობელი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** სერ. "**მაშველები**" **17.00** სერ. "**ავრორა**" **18.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **19.45** სერ. "**სახლი მეზობლად**" **22.00** პროფილი **23.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00** ან. ფილმი "ბარბი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან ფილმი "სპანჯბობი" **09.40** სერ. "**ჰანა მონტანა**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **15.00** წუთისოფელში **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **23.50** მუს. ლიგა (გან.) **01.20** რემონტი **01.50** მხ. ფ. "**მელოტი ძიძა**" (ვ. დიზელი) (სუბტ.) **03.55** მხ. ფილმი "**უცხოები**" (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.)

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. "**დაკარგული ქვეყანა**" **13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **16.20** გუნდი **17.10** სერ. "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. "**ელიზა 2**" **21.00** სერ. "**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადრიდი**" **10.00** დოკ. ფილმი "ილუზიონისტები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" **12.50, 19.35** სერ. "**შექსპირიადა**" **15.00** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**საბუდარელი ჭაბუკი**" **13.30** კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, ფელიქს ლლონტი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**ნუცას სკოლა**" **17.05** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** საქართველოს პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15 100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი "**დიდედები და შვილიშვილები**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "ვარდისფერი კაცი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "ქართული მხედრობა პოლონეთში" **00.55** განთიადის სტუმარი **01.15** მოკლ. ფილმი "**რა გაცინებს**" **02.00** ნიამორი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**15 სექტემბერი**

აშშ დოლარი — 1,641

ევრო — 2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის**

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-26, ღამით — 19-13

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 19-15

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 2-11







# კალათბურთელები თბილისში სიმპათიით დაბრუნდნენ

**საქართველოს ნაკრების წევრებს თბილისის აეროპორტში მხურვალე დახვედრა მოუწყვეს. საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისშია — ევროპის საუკეთესო 12 გუნდში მოხვედრილ ჩვენს ნაკრებს თბილისის აეროპორტში უამრავი ქომაგი დახვდა. ქართველ კალათბურთელებს ქომაგებმა საზეიმო დერეფანი მოუწყვეს და აეროპორტის შენობიდან ტაშით გამოაცილეს. გარეთ კი ნაკრების წევრებს კამერების ზღვა დახვდა, ჟურნალისტებმა მოთამაშეებს ინტერვიუები ჩამოართვეს.**



ნაკრებს არ ჩამოჰყოლია ამერიკელი მარკიზ ჰაინსი, ვლადიმერ ბოისა და უცხოელ მწვრთნელთა დუეტი — იგორ კოკოშკოვი და ჯეისონ სტოდტი. მეორე სამშობლოში გაეშურა ვლადიმერ ბოისა, რომელმაც სლოვენიას მიაშურა.

საქართველოს ნაკრების წლევანდელი სეზონი დასრულებულია. ახალი ციებ-ცხელება მომავალი ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლიდან, მომავალი აგვისტოდან დაიწყება, თუმცა მანამდე, სავარაუდოდ, იანვრში, ფიბა□ევროპა გამართავს კენჭისყრას და კონტინენტის 30 გუნდს შესარჩევ ჯგუფებში გადაანაწილებს.

საქართველოს ნაკრებმა ლამის განახევრებულმა ჩაამთავრა ჩემპიონატი — პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ზაზა ფაჩულია დაკარგა, ხოლო მომდევნო შეხვედრის მეორე მეოთხედში გიორგი ცინცაძეც დაშავდა. საქართველოს ნაკრებს სწორედ მაშინ გამოაკლდა მთავარი დამრტყმელი ძალა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული 24 გუნდიდან საქართველო 12 საუკეთესოში მოხვდა და იმის შნოც ჰქონდა, კიდევ წინ წასულიყო, თუმცა ტრავმების გამო მხოლოდ ის მოახერხა, რომ თორმეტეულში ღირსეულად წარმოაჩინა თავი.

რა შეიძლება ითქვას იგორ კოკოშკოვის ნაკრებზე? ერთი ის, რომ დებიუტი შედგა!

ახლა არ ვაპირებთ იმ შეცდომებზე საუბარს, რაც მთელი ტურნირის განმავლობაში ჰქონდა ჩვენს გუნდს. ფაქტია, სასწავლი და გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია. ისიც ფაქტია, რომ ელიტარულ გუნდებამდე ბევრი გვიკლია, მაგრამ უდავოა ისიც, რომ ჩვენმა გუნდმა ევრობასკეტზე სპეციალისტების დიდი სიმპათია დაიმსახურა.

მ. ჟ.

## ყველამ გაითვალისწინეთ!

# ასტროპროგნოზი 15 სექტემბრისთვის

<u>წარმატებული დღეა</u>

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** — ის საქმე აკეთეთ. რაც მოგწონთ. **სასწორი** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია არ მოდუნდეთ. **ღრიანკალი** — ყველას ნუ ენდობით, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ, დღეს ზედმეტად ნუ იაქტიურებთ. **თხის რქა** — საჩუქარი მოგეწონებათ, ამ დღეს ელოდით. **მერწყული** — თავს კრიტიკულად უყურებთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 2. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 3. ქალის საზაფხულო კაბა; 4. კუთხური მიმართვა მამაკაცისადმი კახეთში; 5. ძვირფას ქვებზე კვეთის ხელოვნება; 6. მდგომარეობა ჭადრაკში; 7. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 10. მემკვიდრეობითობის მატარებელი ერთეული ცოცხალ ორგანიზმში; 11. არქიტექტურულ-სკულპტურული ნაგებობა; 12. უაზრობა, სისულელე; 13. მამალი ცხვარი; 16. საკუთრებაში არსებული ნივთიერი ფასეულობები; 18. პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი; 19. ქარიშხალი, დიდი ღელვა ზღვაზე; 21. პოპულარული ბარ-რესტორანი ძველ თბილისში; 24. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტროპიკული ხე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს.

**თარაზულად:** 1. საქართველოში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 3. ღვინის ვაჭარი ძველად; 8. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 9. დიდი ტანის ძაღლი; 14. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 15. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. აღმოსავლური ტკბილეული; 20. პატიოსნება, სინდისი; 22. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 23. რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 25. ფუტკრის სადგომი; 26. გადამდნარი კარაქი; 27. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია; 28. სამშობლოდან განშორების სევდა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*





# იუმორი

წარწერა ზოოპარკში ვეფხვის გალიაზე.

— გალიაში თითებს ნუ შეყოფთ, ჯარიმა — მინიმუმ ერთი თითი...

***

— დედა, მამიკომ მგონი ხელფასი მიიღო.

— რა იცი?

— სააბაზანოში სარკეს პარსავს...

***

— ალიბი გაქვთ?

— დიახ, რომელი ვალუტით გნებავთ?

***

— ქალს სანამ ასიამოვნებ, დაუფიქრდი, სანაცვლოდ რას მოითხოვს...

***

— აი, თქვენ გაიძახით, ევოლუცია, ევოლუციაო... მინა ოთხი ათასი წელია არსებობს, ბუზები კი დღემდე თავს ახლიან...

***

ქმარი მივლინებიდან დაბრუნდა. ცოლი საწოლზე ზის გაღეღილი ხალათით, თმას ივარცხნის.

ქმარი პირდაპირ კარადისაკენ გაემართა, გამოაღო — არავინაა. საწოლის ქვეშ შეიხედა — ვერც იქ ნახა ვინმე. ცოლს გვერდით მიუჯდა, ხელი გადახვია და თანაგრძნობით ეუბნება:

— ვბერდებით?...

***

სასამართლოზე ადვოკატი პროკურორს ეუბნება:

— ნუთუ ვერ ხედავთ, რომ განსასჯელი ნამდვილი დებილია?

— ეგ გასამართლებელი საბუთი არ არის, დებილებიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორიც მე და თქვენ...

***

— ადამიანს ხანგრძლივი ვარდნა კი არა, მოულოდნელი გაჩერება კლავს...

***

— პროფესიით ვინ ხართ?

— ფლორისტი.

— და რა არის თქვენს საქმიანობაში ყველაზე სასიამოვნო?

— დეფლორაცია.

**გ.თ.**

**ტესტი**

# რამდენად გაქვთ განვითარებული ინტუიცია



***1. მიმიკა და ჟესტები არის:***

ა. სულიერი მდგომარეობის სპონტანური გამოვლინება. ბ. საუბრის დამატება. გ. ქვეცნობიერის გამოვლინება.

***2. ქალებში მიმიკა უფრო გამომსახველია, ვიდრე მამაკაცებში?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. არ ვიცი.

***3. როგორ ესალმებით მეგობრებს?***

ა. გამარჯობას ეუბნებით. ბ. ხელს ართმევთ. გ. ეხვევით.

***4. შეიძლება თუ არა მიმიკის გაკონტროლება?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტებისა.

***5. თქვენი ჟესტების უმეტესობა:***

ა. ვილაცისგან არის გადაღებული. ბ. თაობიდან თაობას გადაეცემა. გ. ბუნების მიერ არის განსაზღვრული.

***6. თქვენი აზრით, წვერი არის:***

ა. ვაჟკაცობის ნიშანი. ბ. სახის ნაკვთების დამალვის საშუალება. გ. სიზარმაცის ნიშანი.

***7. ზოგი ამტკიცებს, რომ სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდება. იზიარებთ?***

ა. დიახ. ბ. არა. მხოლოდ ხანდაზმულებში.

***8. თუ შეიძლება გარეგნობის მიხედვით ტიპური დამნაშავის ამოცნობა?***

ა. დიახ. ბ. არა. გ. არ ვიცი.

***9. მამაკაცი ქალს ესაუბრება. ამას იმიტომ აკეთებს, რომ:***

ა. პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას. ბ. ქალი ქვეცნობიერად ანიშნებს, რომ სურს გამოელაპარაკონ. გ. არ ეშინია უარის მიღებისა.

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა გ. 3 — ქულა**

## პასუხები

**9-15 ქულა:** თქვენ შესანიშნავი ინტუიცია გაქვთ, ადამიანებისა შესანიშნავად გესმით, სიტყვებზე უფრო მეტად თქვენს ალღოს და დაკვირვებულობას ენდობით. ხანდახან თქვენი დასკვნები ნაჩქარევია და შეიძლება შეცდომა დაუშვათ.

**16-21 ქულა:** გარკვეულ სიამოვნებას განიჭებთ სხვა ადამიანებზე დაკვირვება. კარგად ერკვევით მიმიკასა და ჟესტებში. მაგრამ ჯერ კარგად არ იცით მიღებული ინფორმაციის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

**22-27 ქულა:** ჟესტებისა და მიმიკის ენა თქვენთვის გაუგებარია. გიჭირთ ადამიანების სწორად შეფასება. არა იმიტომ, რომ ეს არ შეგიძლიათ, უბრალოდ სათანადო ყურადღებას არ უთმობთ მათ.

გ. თ.